პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1980 წელი
პარასკევი
5 სექტემბერი
№ 204 (17847)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

770.000 ტონა ყურძნისათვის!



„რთველი—80“ ძალას იკრებს

„რთველი-80“ დღითი დღე ძალას იკრებს. კახეთში უკვე ოთხი რაიონი შეუდგა ყურძნის მასობრივ კრეფას. გურჯაანელმა, სიღნაღელმა, წითელწყაროელმა და ყვარლელმა მევენახეებმა 3 სექტემბერს შესაბამისად 732, 622, 1087 და 568 ტონა ხარისხოვანი ყურძენი მიიტანეს სახელმწიფო მარანში.

რთვლის დაწყებიდან 3 სექტემბრის ჩათვლით გურჯაანის რაიონში მოკრეფილია 2.641 ტონა ყურძენი, სიღნაღისაში — 2.013, წითელწყაროსაში — 2.997, ყვარლისაში — 1.443 ტონა.

კახეთში სულ დამზადებულია 9.094 ტონა ყურძენი.

ყურძნის მოსავლის დაბინავების პირველივე დღეებში ზუსტად მოქმედებს კონვეიერი „ვენახი-ტრანსპორტი-ღვინის ქარხანა“, რომლის შეუფერხებელ მუშაობას დიდად უწყობს ხელს ავტომატიზებული სისტემა „რთველი — 80“.

მევენახეებს დაეხმარნენ

თელავის რაიონის მევენახეები წლეულს 90 ათასი ტონა ყურძნისათვის იბრძვიან. ამ მაღალმოჯნის მისაღწევად განსაკუთრებით აქტიურობენ წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები. აქაურ მეზვრეებს დიდი ჯაფა დაადგათ „კაბერნეს“ ჯიშის ვაზის მოვლა-პატრონობის დროს. საქმე ის არის, რომ ამ ჯიშის ვაზის 40 ჰექტარი ქვიანი ფართობი, რომელიც მეხუთე ბრიგადას აქვს მიჩენილი, განსაკუთრებით დააზიანა გვალვამ, და ისედაც ფაქიზ ვაზს დაღუპვის საფრთხე შეექმნა. ვერ იქნა და ვერსაიდან ვერ მოუგდეს წყალი ვენახს, მევენახეთა თვალწინ იღუპებოდა უკვე კარს მომდგარი მოსავალი.

მეურნეობის დირექციამ (დირექტორი — ნ. იანვარაშვილი) არ დაიყოვნა და დროულად მიმართა დახმარებისათვის შინაგან საქმეთა სამინისტროს. სამინისტრომ მათ დასახმარებლად მოავლინა თბილისის სახანძრო დაცვის სამმართველოს მეორე და მეხუთე სახანძრო რაზმები მაორ ოთარ მანიკაშვილის ხელმძღვანელობით.

მეხანძრეებმა: ნ. გეგეჭკორმა, თ. ხუბულურმა და ო. კუდუხოვმა ჩვეული ოსტატობით აახმიანეს მძლავრი ხანძარსაწინააღმდეგო აგრეგატები. ალაზნის არხიდან წყლის ამოტუმბვა ორ საფეხურად ხდებოდა, სახანძრო-სატუმბი სადგურის მწარმოებლობა წამში 110 ლიტრს ჭარბობდა, წყალმოწყურებული ვენახის ფართობები წუთში 6 კუბურ მეტრ წყალს იღებდა. ხუთი დღე-ღამის განმავლობაში მრწყველები: გ. საკაკაშვილი, ბ. ელიოზოვი, ვ. გრიშიკაშვილი, ლ. კაკრიაძე, ვ. სოზაშვილი და სხვები ვაზს თოხებით უმარჯვებდნენ რუებს, შეუსვენებლივ ამუშავებდნენ დასაწვიმებელ აგრეგატებს და ... აი, შედეგიც: მწვანედ მოხასხასე ვენახებს უხვად ასხია ჯანსაღი მარცვლით დაკუმსული მტევნები.

— ახლა ჩვენი აგროგანყოფილება, რომელიც საგეგმო დავალების შეუსრულებლობის საფრთხის წინაშე იდგა, 1850 ტონა „კაბერნეს“ ყურძნის ნაცვლად 2000 ტონაზე ბევრად მეტს მიიღებს.— ამბობს აგროგანყოფილების მმართველი რ. ხატიაშვილი და მადლობას უხდის თბილისელ მეზღვრე მეგობრებს, რომლებმაც გაუჭირვების ჟამს დახმარების ხელი გაუწოდეს და დაღუპვას გადარჩინეს ყურძნის მოსავალი.

დ. ბერგიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ბუთფლედის დამამთავრებელი ფელი

ვიშრომოთ დამკვრელურად!

ბოსტნეულის კონვეიერი: ტემპი, ხარისხი!

ამ ემოდგომამ დადგა, და კიდევ უფრო მძლავრად ამოქმედდა ბოსტნეულის კონვეიერი, „მინდორი — ტრანსპორტი — მაღაზია“. ძვირფასი სასურსათო პროდუქციის რეალიზაციის ამ პროგრესული ხერხით თბილისის და რესპუბლიკის სხვა სამრეწველო ცენტრების მშრომელებს წლეულს 8 თვეში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით მიეყიდათ 3.500 ტონით მეტი ბოსტნეული. ეს იმის შედეგია, რომ წლითიწლობით მეტი ბოსტნეული მზადდება რესპუბლიკაში. შარშან კი მებოსტნეებმა რეკორდულ მიჯნას მიაღწიეს, 1972 წელთან შედარებით თითქმის ორჯერ მეტი ბოსტნეული და კარტოფილი მიაყიდეს სახელმწიფოს საზოგადოებრივმა მეურნეობებმა და მოსახლეობამ. დიდი გადამეტებით არის შესრულებული ამ პროდუქტების გაზაფხულის მეათე ხუთწლედის 4 წლის ვეგმაც.

ბოსტნეულის წარმოების გადიდებით შესაძლებელი გახდა მნიშვნელოვნად გაზრდილიყო მოსახლეობაში ამ პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა და მთელი წლის მანძილზე აგრარულ-სამრეწველო სავაჭრო გაერთიანების მაღაზიებს გასაყიდად ჰქონოდათ კარტოფილი, ბოსტნეული, მწვანილი. ამასთან მომხმარებლები კმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ გაზზრდა ქალაქის მოედნებზე ფართო ასორტიმენტის ხილ-ბოსტნეულით ვაჭრობა. მაგალითად, აგვისტოს ბოლო დეკადაში თბილისში ორჯერ მოწყობილ „მწვანე ბაზრობაზე“ 4 ათასი ტონა ხილ-ბოსტნეული გაიყიდა.

ამ თვალსაჩინო წარმატებების კვალობაზე დღენიადაგ მატულობს მშრომელთა მოთხოვნილება ბოსტნეულზე, თანაც მის სრულ ასორტიმენტზე.

სწორედ ამიტომ არის, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ბოსტნეულის წარმოება და ამ პროდუქციით მოსახლეობის უზრუნველყოფა ერთ-ერთ პირველხარისხოვან ამოცანად დაუსახია. მართლაც, მშრომელთა სუფრისთვის ბოსტნეული ისევე ძვირფასი სურსათია, როგორც პური და ხორცი. ამიტომ ისინი, ვინც პასუხს აგებს ბოსტნეულით მოსახლეობის მომარაგებისათვის, არ უნდა ურიგდებოდნენ იმას, რომ მაღაზიებში იყიდებოდეს მდარე ხარისხის ბოსტნეული და კარტოფილი, თანაც შეზღუდული ასორტიმენტით.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ბოლო წლების მანძილზე განხორციელებული ღონისძიებების წყალობით ვითარება შეიქმნა იმისათვის, რომ მთელი წლის განმავლობაში სოფლებმა, სამრეწველო ცენტრებისა და კურორტების მოსახლეობა რიტმულად მარაგდებოდეს მაღალხარისხოვანი ბოსტნეულითა და კარტოფილით.

ამ ამოცანის გადაწყვეტას კარგად მოჰკიდეს ხელი და ბოსტნეულის წარმოების, ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესების საქმეში მისაბაძ მაგალითს გვიჩვენებენ სამტრედიელი, მარნეულელი, ბაგოდეხელი, აბაშელი, გარდაბნელი მიწათმოქმედნი. მაგალითად, ბაგოდეხელებს უკვე რეალიზებული აქვთ წლევანდელი გეგმა-დავალება, ხოლო სამტრედიის რაიონის მებოსტნეებმა, რომლებმაც ბოსტნეულის წარმოების ხუთწლიან გეგმას და შარშანდელი შესაბამისი პერიოდის დონეს უკვე გადაამეტეს, პარტიის XXVI ყრილობის აღსანიშნავად ვალდებულება იკისრეს წლევანდელი გეგმა ნოემბრისათვის შეასრულონ.

ყოველმხრივ მოსაწონი და მისაბაძია ვანის რაიონის მიწათმოქმედთა თაოსნობა, რომლებმაც თავიანთი ინიციატივით რამდენიმე ათეულ ჰექტარზე განმეორებით დარგეს საგვიანო კომბოსტო და ამით გვალვისაგან მიყენებული ზარალის ლიკვიდაციას აპირებენ. ბოსტნეულის განმეორებით თესვის თაობაზე ზემდგომი ორგანოების დავალებები დროულად შეასრულეს გარდაბნის და მცხეთის რაიონებმა. გარდაბანში გეგმის გადამეტებით 250 ჰექტარზე დათესეს ეფრის ჭარხალი.

საგანგებოდ, ყველგან ასეთი გულმოდგინებით როდი იღვწიან იმისათვის, რომ შეუფერხებლად მუშაობდეს ამ ჯაჭვის ყველა რგოლი, რომელიც მინდორს მომხმარებელთან აკავშირებს. ამის გამო, რომ გორის, კასპის, თელავის რაიონები და სამხრეთ ოსეთის ეკონომიური ოლქი მნიშვნელოვნად ჩამორჩნენ ბოსტნეულის დადგენილ შარშანდელი შესაბამისი პერიოდის დონეს და წლევანდელი გეგმები 20 პროცენტითაც კი არა აქვთ რეალიზებული.

შემაშფოთებელია კახეთის რაიონების, წყალტუბოს ზონის და ყვარლის ზონის საზოგადოებრივი მეურნეობების გულარხეინი დამოკიდებულება ბაღჩეულის დამზადებისადმი, რის გამოც 2 სექტემბრისათვის ეს პროდუქცია 15 ათასი ტონის ნაცვლად მხოლოდ 6.063 ტონა მიეყიდა სახელმწიფოს.

ალბათ ამ დროს ისიც ირკვევა, რომ ზოგიერთი საზოგადოებრივი მეურნეობა ცდილობს გეგმები შეასრულოს პროდუქციის ერთიერი სახეობის ხარჯზე და სრულიადაც არ ანაღვლებს ასორტიმენტის გაფართოების საქმე. ბევრგან კვლავ დიდძალი პროდუქცია ინარგება დამამზადებელთა დაუდევარი და უნაათო მუშაობის გამო. მაგალითად, ივლისში მარნეულიდან და ბოლნისიდან გაგზავნილი საადრეო კარტოფილის 23 პროცენტი გადაურჩენლობისა და ასოფლო-სამეურნეო მავნებელ-დაავადებებისაგან დაზიანების გამო მომხმარებლისათვის უვარგისი აღმოჩნდა. ბევრი უსტანდარტო კიტრი და კომბოსტო გაიგზავნა საკავშირო ფონდში გულრიფშის, თერჯოლის, წყალტუბოს რაიონებიდან. ეს მით უმეტეს გულისტკივნეა ამჟამინდელ ვითარებაში, როცა ავდრისა და გვალვისაგან ბევრი თითოეული კილოგრამი ხარისხოვანი პროდუქციის მომზადებლამდე მიტანა უაღრესად დიდმნიშვნელოვანი საქმეა.

შეუწყნარებელია ისიც, რომ უწყებრივი შეუთანხმებლობის გამო ფერხდება მოყვანილი ბოსტნეულის მაღაზიამდე მიტანა, რითაც ორივე მხარე ზარალს ადებს. ამ საქმეში ბევრ აქტიურობა მართებთ დამამზადებლებს, სავაჭრო ორგანიზაციებს, რომლებიც უშუალოდ წარმოების ადგილებიდან თავიანთი ტრანსპორტით ბოსტნეულის გაზიდვას ყოველთვის ვერ უზრუნველყოფენ. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ახლა, როცა გაცხარებული ლობაა და მინდორში ბოსტნეულს მასობრივად იღებენ, ყველამ ელი უნდა გამოიღოს ამ პროდუქციის შემოზიდვისათვის, ქალაქი უფრო აქტიურად უნდა დაეხმაროს სოფელს ტრანსპორტით და ... საშუალებებით. ამ გარემოებას რატომღაც ანგარიშს არ უწევენ ... ლენინის, ორჯონიკიძის, პირველი მაისის სახელობის და ... ქარხნო რაიონების სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომები, ... ომლებიც ეროფიკით ვათვალისწინებენ ეროდონობის ტრანსპორტს არ გზავნიან ბოსტნეულის შემოსაზიდად.

ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ... ორგანოებმა ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი წარმოების, დამზადების და ვაჭრობის მუშაკებს მაღალი საბოლოო შედეგებისათვის ... ბრძოლაში, რათა მოსახლეობამ რაც შეიძლება მეტი მრავალფეროვანი, ხარისხიანი ბოსტნეული და კარტოფილი მიიღოს.

დიდ ზრუნვას მოითხოვს ზამთრისთვის ლილოს კომბინატში ბოსტნეულის შენახვა. ამ საქმის დაწყების პირველივე დღეებმა გვიჩვენა, რომ ზოგან ამ კამპანიას ჯეროვანი პასუხისმგებლობით არ ... ებებიან. ამ დღეებში ბოლნისის რაიონიდან კომბინატში 6 მანქანა ... ფუარჩეული ხახვი მიიტანეს. ასეთი დაუდევრობა შეიძლება ზამ... ში ძვირფასი პროდუქციის გაფუჭების მიზეზი გახდეს.

ბოსტნეულის უკლებლივ დაბინავებისათვის, იმისათვის, რომ ... ბრძოლები ქმაყოფილი იყვნენ მაღაზიებში ნაყიდი ბოსტნეულით ... და კარტოფილით, ყველგან ზუსტად და შეთანხმებულად უნდა ... ქმედებდეს ბოსტნეულის კონვეიერის ყველა რგოლი.

რესპუბლიკის მებოსტნეები და მეკარტოფილეები წლეულს ერთ... ულ კიდევ იხახლებენ თავს უხვი მოსავლის მოყვანით და მშრომ... ლებს მიაწოდებენ 320 ათას ტონა ბოსტნეულს და 170 ათას ... ონა კარტოფილს.

ტემპს მოვუმატოთ, მეჩაიეებო!

ჩაის პლანტაციების ოსტატებმა, რომლებმაც პატრიოტული თაოსნობა გამოიჩინეს —წლეულს შეასრულონ არა მარტო მეათე ხუთწლედის, არამედ მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის გეგმაც, კარგა ხანია დაძლიეს უამინდობით გამოწვეული ჩამორჩენა და შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 4 სექტემბრისათვის მოკრეფილი ჰქონდათ 11.541 ტონით მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ტყიბულის ზონის მეჩაიეებმა კი წლევანდელი გეგმა-ვალდებულება უკვე შეასრულეს.

შემოდგომის დღეებში დამკვრელურად შრომობენ და შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით ათასობით ტონით მეტი ჩაის ფოთოლი დაამზადეს გალის, მაზარაძის, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, ზუგდიდის რაიონების და წყალტუბოს ზონის საზოგადოებრივი მეურნეობების კოლექტივებმა.

საერთო წინსვლას ჯერჯერობით ფეხი ვერ აუწყეს და შარშანდელ დონეს ჩამორჩებიან ოჩამჩირის, ქედის, ლანჩხუთის, თერჯოლის, ჩოხატაურის, ხელვაჩაურის რაიონების მეჩაიეები. ბუნებრივია, ამ რაიონებში გეგმის შესრულების მაჩვენებლებიც საერთო-რესპუბლიკურზე ნაკლებია.

რესპუბლიკაში სულ მოკრეფილია 424518 ტონა ფოთოლი, რაც გეგმის 90,3 პროცენტს შეადგენს. ეს მაჩვენებელი გაცილებით წალი იქნებოდა, რომ ყველა მეურნეობა მაქსიმალურად იყენებდეს დარიან დღეებსა და უხვად შემოსული ჩაის ფოთოლს. უფრო მეტიც, ზოგან გაძლიერების მაგიერ შეანელეს ჩაის კრეფის ტემპი, მაგალითად, ლანჩხუთის რაიონში 31 აგვისტოს მოიკრიფა 251 ტონა ფოთოლი, 1 სექტემბერს კი მხოლოდ 58 ტონა.

მართალია, ჩაის კრეფის სეზონი კიდევ კარგა ხანს გასტანს, მაგრამ ვინ იცის, ამინდი რას გვიქადის. ამიტომ თითოეული მეჩაიის ვალია ჩინებული ამინდის თითოეული საათი ჩამორჩენის დაძლევას და მეთერთმეტე ხუთწლედის მიჯნის მიღწევისათვის ბრძოლას მოახმაროს.

ცნობილ მექანიზატორს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, ჩაის საკრეფ მანქანა „საქართველოს“ მძღოლს მედეა ლატარიას მრავალი მიმდევარი ჰყავს. იგი ამ სეზონში თავის ცოდნასა და გამოცდილებას გადასცემს გალის პროფესიული სასწავლებლის მოსწავლეს ლელა ხოჯავას, რომელმაც პრაქტიკა აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმში გაიარა. პრაქტიკული გამოცდილება მან მიიღო მანქანა „საქართველოზე“, რომელზეც დეპუტატი მუშაობს. ოჩამჩირის რაიონის მოქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობა „აფხაზეთის“ მშრომელებმა ჩაის ფოთლის კრეფის პირველსავე თვეებში სამშობლოს უმაღლეს სახელმწიფოსათვის ჩაის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმის შესრულება — 13.200 ტონა.

სურათებზე: ზემოთ — მედეა ლატარია (მარჯვნივ) თავის მოწაფე ლელა ხოჯავასთან ერთად; ქვემოთ — მოქვის საბჭოთა მეურნეობის ერთ-ერთ პლანტაციაში მუშაობს დასაწვიმებელი დანადგარი.

ი. ბოხონელიძის ფოტო (საინფორმაციო ფოტოქრონიკა).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

სოფლის მეურნეობაში მექანიზაციის დონის მაქსიმალური ამაღლებისათვის

უკანასკნელ ხანს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, „რომლებიც აზორციელებენ სკკპ XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისისა და მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებს, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებაში.

ამასთან ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ჯერ კიდევ დაბალია მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურა, ნელა იზრდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობა, დაბალია ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციის დონე, რაც განპირობებულია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ორგანიზაციაში ნაკლოვანებებითა და ხარვეზებით და რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ძირითადი ნაწილის მაღალმთიანეთში მდებარეობით. მთიანი ზონის სპეციფიკა განსაზღვრავს ნაკვეთების წვრილკონტურიანობას, დაქსაქსულობას, ფერდობების სიმრავლეს, ეს კი სიძნელეებს უქმნის ტექნიკის ექსპლოატაციას. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერი მექანიზატორები მუშაობენ სპეციალური სამთო ტექნიკის შექმნაზე, მისი დამზადება და დანერგვა ჭიანურდება.

პარტიის თეთრი წყაროს რაიკომმა, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქსახსოფლტექნიკამ, რესპუბლიკურმა გაერთიანება „საქსოფლქიმიამ“, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილებამ, სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის, ეკონომიკისა და ორგანიზაციის, მიწათმოქმედების, აგროქიმიისა

საქართველოს კომპარტიის თეთრი წყაროს რაიკომსა და სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სახსოფლტექნიკას, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლქიმიას“, სამეცნიერო-კვლევითს ორგანიზაციებს დაეევალათ განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რათა გაზარდონ მეცნიერებისა და საწარმოების კოლექტივების ერთობლივ ვალდებულებათა შესრულებისათვის გამოლილი სოციალისტური შეჯიბრების ეფექტიანობა.

საქართველოს კომპარტიის საოლქო და რაიონულმა კომიტეტებმა, ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უნდა გასწიონ შესაბამისი პოლიტიკურ-ორგანიზატორული მუშაობა, რათა მხარი დაუჭირონ და გაავრცელონ ინიციატივები, ამასთან გაითვალისწინონ რესპუბლიკასა და ქვეყანაში შეძენილი სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომპლექსური მექანიზაციის გამოცდილება მეთერთმეტე ხუთწლედში საწარმოო პროცესების მექანიზაციის საფუძველზე შეამცირონ ხელის შრომის ხვედრითი წილი სოფლის მეურნეობაში.

სასოფლო-სამეურნეო პროფილის სამინისტროების, უწყებების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ღონისძიებანი სოფლის მეურნეობაში კომპლექსური მექანიზაციის დონის მაქსიმალური ამაღლებისათვის (თეთრი წყაროს რაიონის მაგალითით).

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო:

— სახსოფლტექნიკასთან ერთად მოაწყობს თეთრი წყაროს რაიონის სპეციფიკის კომპლექსურ შესწავლას, გამოიყოფს სამოდელო მეურნეობებს, უზრუნველყოფს სერიული და მოდერნიზებული ტექნიკის დანერგვას სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში;

— მიწათმოწყობის სახელმწიფო სპეციალიტო ინსტიტუტთან ერთად სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის და მიწათმოქმედების ინსტიტუტებთან ერთად შეიმუშავებს მიწის კადასტრს, უზრუნველყოფს მიწის, საკვები კულტურებითა და კარტოფილით დაკავებული მიდგრების, ინტენსიური თესლბრუნვის სქემების ეკონომიკურ შეფასებას;

— საჭირო პირობებს შეუქმნის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და რაიონის საინჟინრო სამსახურის საცდელ-საწარმოო ბაზების ორგანიზაციას.

— უზრუნველყოფს რაიონის აღჭურვას საჭირო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით;

— რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლქიმიასთან“ ერთად შეიმუშავებს ქიმიზაციისა და საკვების ხარისხის განსაზღვრის ღონისძიებებს.

საქართველოს სსრ სახსოფლტექნიკა:

— საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტთან და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან ერთად შეიმუშავებს ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესვა-მოყვანისა და მოსავლის აღების მექანიზებული სამუშაოების ტექნოლოგიას;

— საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტთან და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან ერთად შეიმუშავებს წინადადებებსა და რეკომენდაციებს რაიონში სინჟინრო სამსახურის ორგანიზაციისა და ოპტიმიზაციის შესახებ;

— თეთრი წყაროს რაიონის მეურნეობებთან ერთად მოაწყობს მანქანა-ტრაქტორების პარკის საწარმოო და ტექნიკურ ექსპლოატაციას.

რესპუბლიკური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსოფლქიმია“ აგროქიმიისა და ნიადაგმცოდნეობის, მცენარეთა დაცვის ინსტიტუტებთან ერთად:

— შეიმუშავებს ვაზის მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს;

— შეისწავლის მარცვლეულის მოსავლიანობაზე აზოტიანი სასუქების შეტანის ფორმების, დოზებისა და სტადიურობის გავლენას;

— შეადგენს ნიადაგში მიკროელემენტების შემცველობის კარტოგრამებსა და რეკომენდაციებს;

— შეიმუშავებს ბუნებრივი საკვებ საგარგულებში მინერალური სასუქების რაციონალური გამოყენების რეკომენდაციებს;

— განსაზღვრავს დამზადებული საკვების ხარისხს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და საბჭოთა კავშირის სამთო სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი:

— თეთრი წყაროს რაიონში შექმნიან საყრდენ საცდელ-საწარმოო ბაზებს;

— მოაწყობენ კიდული და მიბამული სასოფლო-სამეურნეო მანქანების კომპლექსანი დაბრეკ ფერდობზე მომუშავე ტრაქტორის ფართო სამეურნეო გამოცდას;

— საქართველოს მანქანათსაცდელ სადგურთან ერთად მოაწყობენ სერიული და ახალი ტექნიკის კომპლექსურ შემოწმებას რაიონის პირობებში;

— შემოწმების შედეგების მიხედვით შექმნიან სერიული ტექნიკის, მოდერნიზაციისა და სრულყოფის პროექტებს, ამასთან გაითვალისწინებენ, თუ როგორ არიან ისინი მომარჯვებული მთის ფერდობებსა და სპეციფიკურ პირობებში სამუშაოდ.

საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილება:

— სასოფლო-სამეურნეო და ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტებთან ერთად მოაწყობს რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს;

— მონაწილეობას მიიღებს ყველა დასახული ღონისძიების შემუშავებასა და განხორციელებაში;

— განახორციელებს იმ დაწესებულებათა მუშაობის კოორდინაციასა და მეთოდიკურ ხელმძღვანელობას, რომლებიც პასუხისმგებელი არიან თეთრი წყაროს რაიონის სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომპლექსური მექანიზაციისათვის. (საქინფორმი).

საბჭოთა დელეგაცია მოსკოვს დაბრუნდა

ჰელსინკი. 4 სექტემბერი. (საკადსი). საბჭოთა სახელმწიფო დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრ-კანდიდატის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ვ. ვ. კუზნეცოვის მეთაურობით დღეს ჰელსინკიდან მოსკოვს დაბრუნდა.

შეჯიბრების მეწინავენი

ახლა, როცა ბოსტნეულის წარმოების სეზონის ცხარე დღეები დადგა, ამ პროდუქციის მომყვან მიწათმოქმედთა შორის სკკპ XXVI ყრილობის შესახვედრად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ლაგოდეხის, სამტრედიისა და წულუკიძის რაიონების მებოსტნეები. მათ შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით რამდენიმე ათასი ტონით მეტი ბოსტნეული მიაწოდეს მომხმარებელს.

გასაკუთრებით თვალსაჩინოა ლაგოდეხელი მებოსტნეთა წარმატებები, რომლებმაც წლევანდელი გეგმა-დავალება უკვე 130 პროცენტით შეასრულეს და შარშანდელზე 1930 ტონით მეტი ბოსტნეული დაამზადეს.

ასევე შემართებით იბრძვიან გეგმა-ვალდებულებების რეალიზაციისათვის სამტრედიელი მებოსტნეები.

— მართალია, ხუთწლედი უკვე შეასრულეთ და გეგმა-დავალების გადამეტებით 350 ტონა ბოსტნეული მიგიყიდეთ სახელმწიფოს, მაგრამ ჩვენი მიწათმოქმედების ვალდებულებაა დამატებით 4.000 ტონა ბოსტნეული მიჰყიდონ სახელმწიფოს, — უთხრა „კომუნისტის“ კორესპონდენტს საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის პირველმა მდივანმა თ. იმედაძემ, — წლევანდელ ვალდებულებას კი რაიონი 7 ნოემბრისთვის შეასრულებს.

ამ გადაწყვეტილების საფუძველს სამტრედიელ მებოსტნეებს ის აძლევთ, რომ მათ წლეულს შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 3.349 ტონით მეტი ბოსტნეული აქვთ დამზადებული.

რაიონში პროდუქციის მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში აბარებენ გეგმის მერეკვეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის, ქალაქის ვ. ი. ლენინის და ვასილ კიკვიძის, ჯიხაშის წითელი ოქტომბრის და სტალინის სახელობის კოლმეურნეობები.

რეკორდული მოსავალი მოიყვანა სამტრედიის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეორე ბრიგადის მებოსტნემ ა. ტალაბაძემ. მან გეგმა-ვალდებულებას 2 ტონით გადაამეტა და სეზონის ბოლომდე კიდევ 4 ტონა ბოსტნეულს მიჰყიდის სახელმწიფოს. ვალდებულების გადამეტებით 2 ტონა ბოსტნეული მოიყვანა ვ. ჩაჩუამ, რომელმაც ვალდებულება იკისრა, დამატებით კიდევ 6 ტონა პროდუქცია აწარმოოს.

პარტიული ცხოვრება: მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები

მოწოდებას საქმით ეხმაურებიან

„თბილისაძალაძმშენის“ № 14 ტრესტი ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი სმშენებლო ობიექტია, რომლის შრომითი კოლექტივი 2000-ზე მეტ კაცს ითვლის. ტრესტის 500-მდე კომუნისტი გაერთიანებულია 13 საამქრო პარტიულ ორგანიზაციაში და 14 პარტიულ ჯგუფში. ამ ჯგუფების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე კომუნისტების მთავარი მეგზური გახდა „სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ის პუნქტი, სადაც ნათქვამია: „ფრთხილად უნდა მივუდგეთ დადებითის გამოცდილებას, აქტიურად გავავრცელოთ იგი, კრიტიკულად მოვეკიდოთ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებს მეურნეობრიობის პრაქტიკაში, განვახორციელოთ მათი აღმოფხვრის ღონისძიებანი“.

პარტიული ჯგუფი შრომითი კოლექტივის ფხიზელი თვალი და ყური რომ არის, ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როცა ახლოს გავეცანით № 2 სამშენებლო სამმართველოს პირველი უბნის პარტიული ჯგუფის საქმიანობას.

მშენებელ კომუნისტებს გაწეული მუშაობის ანგარიში წარუდგენია ბრიგადული იჯარით მომუშავე კომპლექსური ბრიგადის პარტჯგუფორგმა, პარტიის კალინინის რაიკომის წევრმა ანატოლი დიხტიარმა.

პარტიული ჯგუფი „თბილისაძალაძმშენის“ № 14 ტრესტის დიდი კოლექტივის ერთი პატარა, მაგრამ ჯანსაღი უჯრედია, რომელმაც მეათე ხუთწლედის ოთხი წლის დავალებანი 104,5 პროცენტით გაანაღდა. ორგანიზაციაში კომუნისტთა თაოსნობით იქმა მოწოდება — „არც ერთი ჩაუბარებელი სამშენებლო ობიექტი მეათე ხუთწლედში“. მოქმედებს უფრო დაკონკრეტებული სოციალისტური ვალდებულებანი: ნუცუბიძის ფერდობზე მშენებარე № 8 კორპუსის სახლ „ეტალონში“ ყველა სამშენებლო სამუშაო შეასრულონ უმაღლესი ხარისხით და ობიექტი გეგმით გათვალისწინებულზე ერთი თვით ადრე ჩააბარონ „ფრიადი“ შეფასებით.

— ჩვენს მოწვევებს, ითქვა საანგარიშო მოხსენებაში, განაპირობებს ახალ თაოსნობათა გავრცელება, ახალი ტექნიკის დანერგვა და ბრიგადების გადაყვანა სამეურნეო ანგარიშზე. ბრიგადული შრომა შრომის ორგანიზაციის ძირითადი ფორმა ხდება. ახლა ამ მეთოდით მუშაობს ტრესტის 41 ბრიგადა, მათ შორის ბრიგადული იჯარით მომუშავე ჩვენი კომპლექსური ბრიგადაც. ჩვენ ფართოდ ვიყენებთ სახელოვანი მშენებლების — სოციალისტური შრომის გმირის ვალერიან ჭელიძის, ლენინის ორდენოსნის, პირველი ზლობინელის თამაზ გალდავას, ლენინის ორდენოსანი ბრიგადირის შოთა ჩხუტიაშვილის და სხვათა მდიდარ გამოცდილებას. პარტიული ჯგუფი ხელმძღვანელობს ნაკადური გრაფიკების დანერგვის საფუძველზე ამწე და სხვა სამშენებლო მექანიზმების, ავტოტრანსპორტის გამოყენების სამუშაოს, ეფექტიანად ვუთავსებთ ერთმანეთს ჩვენი და სუბმოიჯარე ორგანიზაციების მუშაობას. სამშენებლო ორგანიზაციაში კვირეული სადღეღამისო დაგეგმვა ხელს უწყობს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების რაციონალურ გამოყენებას.

პარტიული ჯგუფი, რომელიც ერთთავად ხარჩოებზე იმყოფება, პირნათელი გამოვიდა საყრილობოდ მიცემული სიტყვის შესრულებისათვის გაწეულ ბრძოლაში. დროულად ჩაბარდა ფოლად-თუჯსასხმელი ქარხნისა და გლდანის დასახლებაში მეხუთე მიკრორაიონის № 9 კორპუსის მშენებარე ობიექტები. ამჟამად პარტიული ჯგუფის კომუნისტები მშენებელთა მთელ კოლექტივთან ერთად იბრძვიან იმისათვის, რომ გაანაღდონ საფინიშო წლის დავალებანი, სკკპ XXVI ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულონ 1981 წლის მეორე კვარტალის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმები და სოციალისტური ვალდებულებები.

მომხსენებელი და სხვა კომუნისტები თ. გოლეთიანი, ლ. დოხნაძე, გ. დაწინი, № 2 სამშენებლო სამმართველოს პარტბიუროს მდივანი რ. ცინცაძე შეეხნენ დღემდე გადაუჭრელ საკითხებს, აღნიშნეს ტიპიური ლამაზი სოფელია, სად არ ნახავთ აქ — ალაზნისა თუ ივრის გაღმა-გამოღმა ბუნების ნატიფი ფუნჯითა და ადამიანის მოუსვენარი მარჯვენით მოხატულ სოფლებს!

ეს სოფლები მიჯრით ჩალაგებულ წიგნებსა ჰგვანან. საკმარისია რომელიმე მათგანს ხელი შეეხოთ, ჩაუკვირდეთ, ჩაუღრმავდეთ და თქვენს თვალწინ ჩვენი ხალხის გმირული წარსულისა თუ დღევანდელი სისხლჭარბი ცხოვრების მეტყველი ფურცლები გადაიშლება.

ასეთია წინანდლიც!

ცივ-გომბორის მარჯნისფერ კალთებზე ამოქარხილ ამ უძველესსა და ულამაზეს ქართულ სოფელს წარსულიც, აწმყოც, მომავლის ფრთაშესხმული რომანტიკაც მდიდარი აქვს.

მაგრამ ამ თემაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ. ჩვენი მიზანია ცოტა რამ ვთქვათ იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს სოფელში მოქმედი სახალხო უნივერსიტეტი, რა სახის, რა შინაარსის ღონისძიებებს ახორციელებს მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი, კულტურულ-ესთეტიკური დონის ამაღლებისათვის.

სკოლისგარეშე ზოგადსაგანმანათლებლო სწავლების მთელ სისტემაში სახალხო უნივერსიტეტი ერთ-ერთი ის მნიშვნელოვანი, ცოცხალი კერაა, სადაც თავს იყრიან სხვადასხვა განათლების, პროფესიის, სპეციალობის, სხვადასხვა ინტელექტუალური პოტენციალის მქონე ადამიანები. მსმენელთ ამ მრავალფეროვან კონტინგენტს სახალხო უნივერსიტეტმა დიფერენციალური, შესატყვისი ფორმითა და სახით უნდა მიაწოდოს სულიერი საზრდო.

წინანდლის ალექსანდრე ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახალხო უნივერსიტეტში წლების მანძილზე გეგმაზომიერად წარმართავენ მუშაობას ლიტერატურისა და ხელოვნების, ყოფისა და ტრადიციების, მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტები.

სახალხო უნივერსიტეტის მუშაობის მეთოდი ისევე, როგორც ბევრგან, ძირითადად ლექციამოხსენებების, საუბრების, რეფერატების, ექსკურსიების, მოწინავე ადამიანებთან შეხვედრებისა თუ სხვა სასწავლო-საგანმანათლებლო მუშაობის ფორმებს ემყარება. შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი მუშაობის ყოველ ფორმას, ყოველ ღონისძიებას, როცა იგი საზრიანად, ორგანიზებულად ხორციელდება, სასურველი შედეგი მოაქვს.

მოვიყვანთ თუნდაც, ასეთ მაგალითს:

დღეს აღარავისთვის არ არის ახალი ის ფაქტი, რომ რესპუბლიკის ბევრ სოფელში, ქალაქსა თუ რაიონში მტკიცედ იკიდებს ფეხს თვისებრივად სრულიად ახალი, საბჭოური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი სახალხო დღესასწაულები.

ეს დღესასწაულები (შოთაობა, ლიღაობა, ვაჟაობა, გარეჯობა, თბილისს-ქალაქობა) ახლანდელი საზოგადოებრივი ურთიერთობის პირობებში უდავოდ ქართველი ხალხის სოციალურ-ყოფითი ტრადიციების შემდგომი განვითარების მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ გავითვალისწინოთ ისიც, რომ არცთუ ისე შორეულ წარსულში ყოველივე ეს ასე არ გახლდათ!

როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ის-იყო უკომპრომისო, მკაცრ ბრძოლას აჩაღებდა რესპუბლიკაში ფესვგამჯდარი მავნე, ნეგატიური მოვლენების სალიკვიდაციოდ, ჩვენი სახალხო უნივერსიტეტის საბჭომ სოფლის მშრომელთა ყურადღებაზე საკითხი აღძრა ოთხი ძალიერი, ტყვილად არ უთქვამს ხალხს: „ლაკი გუნდერა, სოფელი ღონიერია“.

საბჭოთა კავშირისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ იდეოლოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებზე მიღებული უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები ჩვენი სახალხო უნივერსიტეტის მუშაობის საფუძველია. ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევის ეპოქალურ ნაშრომებს („მცირე მიწა“, „აღორძინება“, „ყამირი“) რომ ვსწავლობდით, სახალხო უნივერსიტეტმა ღია გასვლითი მეცადინეობა მოაწყო თბილისის ხალხთა მეგობრობის მუზეუმში. ეს იყო მსმენელთა დაუვიწყარი შეხვედრა მუზეუმის კოლექტივთან. მუზეუმის დირექტორი ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი თეიმურაზ ბადურაშვილი ვრცლად ესაუბრა სტუმრებს „მცირემიწელთა გმირობაზე, ყამირის დამპყრობთა თავდადებაზე.

და კიდევ ერთი რამ: „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შესწავლამ, ღრმად გააზრებამ დიდი შემეცნებითი გავლენა იქონია სახალხო უნივერსიტეტის მსმენელებზე. მათი ინიციატივით ამ სამიოდე წლის წინათ სოფელში დაწესდა მევენახეთა ახალი დღესასწაული „ვაზის ყვავილობა“. ეს დღესასწაული ყოველ გაზაფხულის დასასრულს, მაისის ბოლოს უშუალოდ ზვრებში ეწყობა იმ დროს, როცა ვაზი ყვავილობას ამთავრებს.

სახალხო უნივერსიტეტის მეცადინეობათა მაღალ სასწავლო-ორგანიზაციულ დონეზე ჩატარების საქმეს დიდად უწყობს ხელს საბჭოთა მეურნეობის კულტურის სახლი და მისი დირექტორი როსაპ კუპატაძე, რომელიც ზმირად თვითონ თაოსნობს ბევრ კარგ ღონისძიებას.

ჩვენს სახალხო უნივერსიტეტს დაბადების 10 წელი შეუსრულდა. რა არის ისტორიისათვის 10 წელი? ზღვაში წვეთია! მაგრამ ეს დრო, ეს ხანა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენებით იყო აღვსილი და ახლა, როცა უკან ვიხედებით, როცა გონების თვალს ვავლებთ გაწეულ შრომას, უკმაოსობის გრძნობა გვეუფლება.

— აუ, რამდენი რამის გაკეთება შეგვეძლო კიდევ და ვერ შევძელით, ვერ მოვასწარით!..

მაგრამ დრო წინ გვიძევს.

ჩვენი სახალხო უნივერსიტეტი უყვართ წინანდლელ მშრომელებს. ამის დასტურია ის, რომ მათ სახალხო უნივერსიტეტს სიყვარულით სოფლის ჩირაღდანი უწოდეს. დაე, დიდხანს ენთოს ეს ჩირაღდანი ჩვენ სოფელში.

გ. გოგველიშვილი.

წინანდლის ალ. ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლის უნივერსიტეტის რექტორი.

ჩემი სოფლის ჩირაღდანი

სახალხო

უნივერსიტეტის

კეთილი საქმენი

იდეოლოგიური მუშაობის პრაქტიკა

აგიტპატორი მთაში

ბელოთის მთებს მოწოლილი ჯანღი გუნდ-გუნდად იშლებოდა, როცა ერედვის საბჭოთა მეურნეობის „უუზმა“ სოფელი აწრიალებელი უკან მოიტოვა და ვიწრო გზებით პატარა ლიახვის ხეობაში შეეყარა. მიქრის მანქანა და ცადაწვდილ მთებს შორის ბაქარგზა დაკლაკნილი გზა. კარგა ხნის შემდეგ მანქანა მდინარის ბალმა გავიდა და ერთ ვაკე ადგილას გაჩერდა. მძღოლმა კაბინიდან თავი გამოყო და ძარაზე მჯდომს შესძახა:

— ნათელა, ახლა შენ იცი, ჩვენც გრძელი გზა გვაქვს, თორემ... —აღარ დაამთავრა სათქმელი.

ახალგაზრდა ქალი ძარიდან ჩამოვიდა, ზურგჩანთა მხარზე მოიგდო და წიფორის მთაზე მეცხოველეობის ფერმის აღმართს აუყვა. მწყემსის წყაროს რომ გასცდა, ერთხანს შეისვენა, მერე კი ვიწრო ბილიკებით მოკლე გზაზე გავიდა.

მეცხოველეთა ოთახის კარი ღია დახვდა. მწყემს-მწველავები ოთახის შუაგულში შეშის ღუმელს შემოსხდომოდნენ და საუბრობდნენ.

— ქალო, სად იყავი აქამდე, ოჯახში ყოფნა გაგიტკბა? — პირველად სიტყვა რ. ტერაშვილმა შეაგება.

— ჯერ სალამი მათქმევინეთ. ვინმემ რომ გაიგონოს, ეგონება, წელიწადია არ მოსულაო. ორი დღე არ არის, რაც წავედი? — ლაპარაკობს და ზურგჩანთა კუთხეში მიაყუდა.

— ბარში რა ამბავია, შვილო? — ჰკითხა მწველავმა თამარ თუაგამ.

— კარგი, დეიდა თამარ, თქვენებმა მოკითხვა შემოგითვალეს.

—ჩემიანები ხომ არ გინახავს? — ახლა ივლიტა ბერაშვილმა ჰკითხა და თან დასძინა: — ბებია ნანაცვალოთ, შვილიშვილები მოშენარტრნენ, ასე მგონია, საუკუნე არ მინახავს.

სოფლის ამბების მოყოლას რომ მორჩა, ერთხანს შეისვენა.

— გოგო, ბუღალტერიაში იყავი? რაშია საქმე, შედეგები არ შეაჯამეს? — მოულოდნელად მყუდროება მ. მაისურაძემ დაარღვია.

— ვიყავი, ამბა რა. სასიხარულო ცნობებიც მოგიტანეთ.

— ჩვენი ბრიგადა კიდევ ჩამორჩება? — იკითხა მეცხოველეობის № 2 ბრიგადის მწველამ მ. ბერიაშვილმა.

— ყველაფერს გეტყვით, — დაიყოლა მცირე დუმილის შემდეგ. მერე სკამიდან წამოდგა, ზურგჩანთიდან უბის წიგნაკი ამოიღო, მაგიდაზე ახალი ჟურნალ-გაზეთები დააწყო.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. მწყემს-მწველავები სმენად გადაქცეულნი შესცქეროდნენ ერედვის საბჭოთა მეურნეობის მთავარ ზოოტექნიკოსს, აგიტატორ ნათელა ვახტანგაშვილს.

აგიტატორმა უბის წიგნაკი მოიმარჯვა და საუბარიც დაიწყო. მან საუბარში აღნიშნა, რომ მეურნეობაში დღეისათვის მოწველილია 6277 ცენტნერი რძე, გეგმაზე 207 ცენტნერით მეტი. თითოეულ საფურაქე ძროხაზე მოწველილია 1320 კილოგრამი რძე, რაც გასული წლის შესაბამისი პეროიდის მაჩვენებელს 120 კილოგრამით აღემატება. ისიც ითქვა, რომ ერედველი მეცხოველები არა მარტო ცხინვალის რაიონში, არამედ მთელ ოლქშიც მოწინავეთა რიგებში დგანან.

აგიტატორმა ილაპარაკა მეურნეობის მეცხოველეობის ბრიგადებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაზე და აღნიშნა, რომ ამ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა ფრისის განყოფილების № 1 ბრიგადა (ბრიგადირი — ნ. მჭედლიძე), ხოლო მწველავთა შორის ყველაზე მაღალ საწარმოო შედეგებს მიაღწია ზამირა თუაევამ (№ 1 ბრიგადა), რომელმაც 3 აგვისტოსათვის შეასრულა წლიური გეგმა. მას თითოეულ საფურაქე ძროხაზე 1680 კილოგრამი რძე აქვს მოწველილი, წლიური გეგმა კი 1550 კილოგრამს ითვალისწინებს. აგიტატორმა ასევე ქებით მოიხსენია მწველავები ვ. საბანოვა (№ 3 ბრიგადა), მ. ბერუაშვილი და რ. ტერაშვილი, (№ 2 ბრიგადა), რომლებიც მხარდამხარ მიჰყვებიან ზ. თუაევას.

მწველავებმა დიდი სიხარულით მოისმინეს, რომ ერედვის საბჭოთა მეურნეობის ფრისის განყოფილების მეცხოველეობის № 1 ბრიგადას წლების მანძილზე სისტემატურად მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის მიენიჭა კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდება. ნათელა ვახტანგაშვილმა ილაპარაკა აგრეთვე იმ სპპტიო ამოცანებზე, რომლებიც დგას ახლა რაიონის მშრომელთა წინაშე სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების წინ. აგიტატორმა სამეურნეო საკითხებზე საუბრის შემდეგ ტრადიციულად საერთაშორისო საკითხებზე ილაპარაკა.

საუბარმა გვიანობამდე გასტანა. მასში აქტიური მონაწილეობა მიიღეს რ. სიფაევამ, მ. დიარაევამ, გ. ტერაშვილმა, მ. ნიკორიშვილმა, დ. თუაევამ და სხვებმა.

ქარგად შეღამებული იყო, როცა მეცხოველეები დაიშალნენ.

მოქუფრულ ცაზე ელვა დაიკლაკნა. ქუხილმა მოლუშულ სივრცის გადაუარა და ცოტა ხნის შემდეგ კოკისპირული წვიმა წამოვიდა. წვიმდა გადაუღებლად. ნაჯაფ მეცხოველეებს ტკბილად ეძინათ, მხოლოდ ერთ პატარა ოთახში კიაფობდა ლამპის სინათლე. ზოოტექნიკოსი ნ. ვახტანგაშვილი მეცხოველეობის სამი ბრიგადის ბოლო ორი დღის მონაწველს აჯამებდა. ქმაყოფილს სახეზე ღიმილი დასთამაშებდა, საქმეში გართული ვერც კი ამჩნევდა წვიმას. მისი ფიქრები მომავალი დღის ახალ შრომითს გამარჯვებებს სწვდებოდა.

გ. ბორცვაძე.

ცხინვალის რაიონი.

გემთმშენებელთა ვახტი

ბათუმის გემთსაშენებელი ქარხნის კოლექტივი სულ უფრო აფართოებს საყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებას. ბევრმა გემთმაშენებელმა ნმშვნელოვნად გაზარდა შრომის ნაყოფიერება და ცვლაში ნორმა-ნახევარს ასრულებს.

საპატიო შრომითი ვახტის ავანგარდშია ამწყობთა ბრიგადა, რომელსაც ბადრი გოგელია ხელმძღვანელობს. იგი გრაფიკის მნიშვნელოვანი გასწრებით მუშაობს. ყრილობის გახსნამდე დარჩენილი თითოეული დღე დამკვრელურად ჯრის გამოცხადებულია.

სურათზე: ბათუმის გემთსაშენებელი ქარხნის გემების ამწყობი უბნის ოსტატი გიორგი მაისურაძე და ერთ-ერთი საუკეთესო ბრიგადის ხელმძღვანელი ბადრი გოგელია ამოწმებენ გემების ფუყობის ხარისხს.

ნ. ანსიბასიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა)

კაბალეთში ბევრი ლამაზი სოფელია, სად არ ნახავთ აქ — ალაზნისა თუ ივრის გაღმა-გამოღმა ბუნების ნატიფი ფუნჯითა და ადამიანის მოუსვენარი მარჯვენით მოხატულ სოფლებს!

ეს სოფლები მიჯრით ჩალაგებულ წიგნებსა ჰგვანან. საკმარისია რომელიმე მათგანს ხელი შეეხოთ, ჩაუკვირდეთ, ჩაუღრმავდეთ და თქვენს თვალწინ ჩვენი ხალხის გმირული წარსულისა თუ დღევანდელი სისხლჭარბი ცხოვრების მეტყველი ფურცლები გადაიშლება.

ასეთია წინანდლიც!

ცივ-გომბორის მარჯნისფერ კალთებზე ამოქარხილ ამ უძველესსა და ულამაზეს ქართულ სოფელს წარსულიც, აწმყოც, მომავლის ფრთაშესხმული რომანტიკაც მდიდარი აქვს.

მაგრამ ამ თემაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ. ჩვენი მიზანია ცოტა რამ ვთქვათ იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს სოფელში მოქმედი სახალხო უნივერსიტეტი, რა სახის, რა შინაარსის ღონისძიებებს ახორციელებს მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი, კულტურულ-ესთეტიკური დონის ამაღლებისათვის.

სკოლისგარეშე ზოგადსაგანმანათლებლო სწავლების მთელ სისტემაში სახალხო უნივერსიტეტი ერთ-ერთი ის მნიშვნელოვანი, ცოცხალი კერაა, სადაც თავს იყრიან სხვადასხვა განათლების, პროფესიის, სპეციალობის, სხვადასხვა ინტელექტუალური პოტენციალის მქონე ადამიანები. მსმენელთ ამ მრავალფეროვან კონტინგენტს სახალხო უნივერსიტეტმა დიფერენციალური, შესატყვისი ფორმითა და სახით უნდა მიაწოდოს სულიერი საზრდო.

წინანდლის ალექსანდრე ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახალხო უნივერსიტეტში წლების მანძილზე გეგმაზომიერად წარმართავენ მუშაობას ლიტერატურისა და ხელოვნების, ყოფისა და ტრადიციების, მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტები.

სახალხო უნივერსიტეტის მუშაობის მეთოდი ისევე, როგორც ბევრგან, ძირითადად ლექციამოხსენებების, საუბრების, რეფერატების, ექსკურსიების, მოწინავე ადამიანებთან შეხვედრებისა თუ სხვა სასწავლო-საგანმანათლებლო მუშაობის ფორმებს ემყარება. შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი მუშაობის ყოველ ფორმას, ყოველ ღონისძიებას, როცა იგი საზრიანად, ორგანიზებულად ხორციელდება, სასურველი შედეგი მოაქვს.

მოვიყვანთ თუნდაც, ასეთ მაგალითს:

დღეს აღარავისთვის არ არის ახალი ის ფაქტი, რომ რესპუბლიკის ბევრ სოფელში, ქალაქსა თუ რაიონში მტკიცედ იკიდებს ფეხს თვისებრივად სრულიად ახალი, საბჭოური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი სახალხო დღესასწაულები.

ეს დღესასწაულები (შოთაობა, ლიღაობა, ვაჟაობა, გარეჯობა, თბილისს-ქალაქობა) ახლანდელი საზოგადოებრივი ურთიერთობის პირობებში უდავოდ ქართველი ხალხის სოციალურ-ყოფითი ტრადიციების შემდგომი განვითარების მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ გავითვალისწინოთ ისიც, რომ არცთუ ისე შორეულ წარსულში ყოველივე ეს ასე არ გახლდათ!

თვალსაჩინო ნარმატებები რომ გვქონდეს...

როგორ მოვაწყოთ სამართალაღმზრდელობითი მუშაობის სწორი ორგანიზაცია

უკანასკნელ წლებში პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა რესპუბლიკაში სამართლის პროპაგანდისა და სამართალაღმზრდელობითი მუშაობის მწყობრი სისტემის შესაქმნელად.

ამჟამად საბჭოთა სახელმწიფო და სამართლის საფუძვლები სავალდებულო სასწავლო დისციპლინაა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და პროფტექნიკურ სასწავლებლებში, რომელსაც ათასობით მოსწავლე ეუფლება. თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში იკითხება სამართლის კურსი, ვითარდება სამართალმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტებისა და ლექტორიუმების ქსელი, რომლებშიც გაერთიანებულია 12 ათასამდე მსმენელი, ხოლო მთელი რიგი სამინისტროებისა და უმაღლესი სასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე ყოველწლიურად სამართლებრივი ცოდნის დონეს იმაღლებს სახელმწიფო აპარატისა და სახალხო მეურნეობის სამი ათასზე მეტი ხელმძღვანელი მუშაკი.

უკანასკნელ პერიოდში შეინიშნება იურიდიული ლიტერატურით მოსახლეობის სულ უფრო მზარდი დაინტერესება, იზრდება იურიდიულ ჟურნალებზე ხელისმომწერთა რაოდენობა. ამასთან მასობრივი ინფორმაციის საშუალებები სულ უფრო ეფექტიანად და გეგმაზომიერად წარმართავენ სამართლის პროპაგანდასა და სამართალაღმზრდელობის მუშაობას; სამართლებრივი აღზრდის პროცესის სწორი, გააზრებული ორგანიზაციის მიზნით ყოველ ორ წელიწადში ერთხელ მუშავდება და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მტკიცდება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების კომპლექსურ ღონისძიებათა გეგმები, რომელთა პრაქტიკული განხორციელების კოორდინაციას და მეთოდიკურ ხელმძღვანელობას ახორციელებს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან შექმნილი სამართლის პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის საკოორდინაციო-მეთოდიკური საბჭო.

ანალოგიური საბჭოები შეიქმნა რესპუბლიკის ყველა რაიონსა და ქალაქში, რაც ნათლად მოწმობს პარტიის დიდ ზრუნვას მშრომელთა შორის სამართლებრივი აღზრდის საქმიანობის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, საბჭოთა კანონების იერარქიტის ამაღლებისა და სოციალისტური მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცებისათვის.

ქალაქებისა და რაიონების მთელმა რიგმა საკოორდინაციო-მეთოდიკურმა საბჭოებმა სწორად გაიგეს მათ წინაშე დასახული ამოცანები და შესაბამის მუშაობას ეწევიან ადგილებზე სამართალაღმზრდელობითი პროცესების ეფექტიანი წარმოებისათვის. გარკვეული მიღწევები აქვთ ჭიათურის, ფოთის, წყალტუბოს, თბილისის ლენინისა და ოქტომბრის სახელობის რაისაბჭოებს, მაგრამ არის საკოორდინაციო-მეთოდიკური საბჭოები, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ ბქცენენ იდეოლოგიური მუშაობის ახალ ორგანიზაციულ-აღმასრულებელ რგოლებად, რომლებიც პრაქტიკულად უნდა წარმართავდნენ პროპაგანდისტული მუშაობის მთელ პროცესებს, სამართალაღმზრდელობითი მუშაობის ყველა ასპექტს.

„უკანასკნელ ხანს შესწავლილ იქნა წითელწყაროს, ქარელის, საჩხერის, ლანჩხუთის, თელავის, გორის, სამტრედიის და სხვა რაიონებში სამართლის პროპაგანდისა და სამართალაღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციის მდგომარეობა და გამოირკვა, რომ აღნიშნულ რაიონებში საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდა და სამართალაღმზრდელობითი მუშაობა ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 აგვისტოს დადგენილების მოთხოვნებს. თუმცა, დროულად გაეგზავნათ მეთოდიკური რეკომენდაციები, თელავის, გორისა და სამტრედიის რაიონების შესაბამის საბჭოებს მაინც არ განუხილავთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ეს საპროგრამო დადგენილება და არ შეუმუშავებიათ კონკრეტული გეგმები მის განსახორციელებლად.

არამიზნობრივად, შექმნილი ოპერატიული ვითარების გაუთვალისწინებლად ეწევიან სამართლის ლექციური პროპაგანდას თელავის, ქარელის, გორისა და სამტრედიის რაიონებში.

ხშირად მაქსიმალურად ვერ იყენებენ რაიონში არსებულ ლექტორთა ძალებს. მაგალითად, თელავის რაიონში სამართლის ზეპირ პროპაგანდას ეწევა მხოლოდ 11 ლექტორი, მაშინ როცა რაიონში 30 უმაღლესი კვალიფიკაციის იურისტი მუშაობს.

სამართალაღმზრდელობითის მუშაობაში ეფექტიანად არ მონაწილეობენ საჩხერის, ლანჩხუთისა და სხვა რაიონების ადგილობრივი მმართველობა ინფორმაციის ორგანოები, ჟურნალისტებიც. მაგალითად, 1979 წელს და 1980 წლის პირველ ნახევარში ლანჩხუთისა და წითელწყაროს რაიონების რადიოკვანძის მიერ მომზადებული 200 გადაცემიდან სამართლებრივ საკითხებს დაეთმო მხოლოდ 12 გადაცემა (ლანჩხუთის რაიონში — 7, წითელწყაროს რაიონში — 5). ამ ხნის მანძილზე ამ თემატიკის არც ერთი გადაცემა არ მოუმზადებია თელავის რადიოს რედაქციას.

ბევრ რაიონში არ არის შექმნილი სახალხო რაზმელების, მსაჯულების, ამხანაგური სასამართლოების წევრების სამართლებრივი სწავლების ზუსტი სისტემა, არ არის გეგმიანობა და თანმიმდევრობა ადმინისტრაციული ორგანოების აქტივის სწავლების საქმეში; საკმარისად არ ფართოვდება სამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტებისა და ლექტორიუმების ქსელი. ამის შედეგად აქტივისტთა უმრავლესობა ჩაბმული არ არის სწავლებაში. მაგალითად, გორის რაიონში მუშაობს ამ დარგის მხოლოდ ერთი სახალხო უნივერსიტეტი 100-მდე მსმენელით, მაშინ როდესაც რაიონში არჩეულია 140 სახალხო მსაჯული, 3874 სახალხო კონტროლიორი, 259 ამხანაგური სასამართლოს წევრი და 900-მდე სახალხო რაზმელი. ანალოგიური [illegible] რესპუბლიკის ბევრ სხვა რაიონსა და ქალაქში.

რამდენიმე თვე გავიდა, რაც გამოქვეყნდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „სოციალისტური საკუთრების და მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“, რომელიც ლოგიკური შედეგია საზოგადოებრიობის კატეგორიული მოთხოვნისა და ქურდობის წინააღმდეგ მოქმედი კანონმდებლობის გამკაცრების თაობაზე. ბრძანებულების მიღებისას გამოითქვა საერთო სურვილი, რომ ახალ კანონს ჰქონდეს მხოლოდ პროფილაქტიკური მნიშვნელობა და ადმინისტრაციულ ორგანოებს არ დასჭირდეთ მათი გამოყენება. ამ მიზნის მისაღწევად კი საჭიროა მოსახლეობაში კანონის ფართო პროპაგანდა და განმარტება.

მთელმა რიგმა სამინისტროებმა, უწყებებმა, ცენტრალურმა გაზეთებმა მართლაც რომ დიდი მუშაობა გაიჩაღეს. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო უკანასკნელ ხანს მოწყობილი ტელეგადაცემები, რომლებშიც ნიღაბი ჩამოიხსნა არაერთ ქურდსა და ბოქაულთახარას, ნათლად გამოიკვეთა მათი ზნედაცვეობა, მგლური ბუნება და ახალი კანონის მკაცრ ძალაც. მაგრამ, როგორც სკკპ-ს შესწავლამ დაგვანახვა, ყველაფერ პასუხისმგებლობით როდი მოეკიდნენ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს. ზოგიერთი რაიონის სამართალდამცველი ორგანოები, აღგილობრივი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციები ჯერ კიდევ არ დარაზმულან ქურდობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებულად მიღებული ახალი კანონის მოსახლეობაში განმარტებისა და პროპაგანდისათვის სამართლის. პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის ადგილობრივ საკოორდინაციო-მეთოდიკურ საბჭოებს თუმცა დროულად კი დაეგზავნა რეკომენდაციები, არ მიუღიათ სათანადო ზომები ადგილებზე საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სოციალისტური ქონების და მოქალაქეთა პირადი საკუთრების ქურდობის წინააღმდეგ უკანასკნელ ხანს განხორციელებულ ღონისძიებების იდეოლოგიური უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ამ საქმეში წარმატებების მისაღწევად, რაც მთელიანად არის დამოკიდებული სამართლის პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის საკოორდინაციო-მეთოდიკური საბჭოების მოქმედ, ორგანიზებულ მუშაობაზე.

ა. ბუდალაშვილი.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლის პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის სამმართველოს უფროსი.

ალვკვეთოთ მცენარეთა მავნებელ-დაავადებანი

ხუთწლიანი გეგმით დასახული სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდების დონის მიღწევისათვის მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებებთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება კარგად ორგანიზებულ მცენარეთა დაცვის სამსახურსა და სარეველებისა და მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის პროგრესული მეთოდების ფართოდ გამოყენებას.

ამ მხრივ დიდი მისია აკისრიათ სახელმწიფო მცენარეთა საკარანტინო სამსახურის მუშაკებს, რომელთა მოვალეობაა ჩვენი ქვეყნის ტერიტორია დაიცვან მავნე საკარანტინო ობიექტების შემოტანისაგან, დროულად გამოავლინონ ისინი და მოახდინონ მათ

საერთაშორისო ცხოვრება
დღეს მიწის ზურგზე

საკავშირო და ახალი ამბების სააგენტოს ფოტოინფორმაციები გვაგზავნიან

მეცნიერები — წარმოებას

ქვანახშირი ცვლის კოქსს

კოქსის, კვარცისა და თიხამწის ახალი ეფექტიანი შემცველის მიღების ხერხი შეიმუშავეს ქართველმა მეტალურგებმა, კაზმის ამ დეფიციტური შემადგენელი ნაწილების მაგიერ, რომლებიც საჭიროა ფოლადის გამოსადნობად, წეცნიერებმა გამოიყენეს ტყიბულის საბადოს იაფი ქვანახშირი. თერმოდამუშავებისა და წყლის „შხაპის“ შემდეგ იგი გადაიქცევა კომბინირებულ სამრეწველო კონცენტრატად, რომელსაც „სილიკოკოქსწვრილა“ უწოდეს. ჭიათურის მანგანუმის მადანთან ერთად, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ელექტროღუმელებში გადამდნარი „სილიკოკოქსწვრილა“ იძლევა მაღალხარისხოვან, ალუმინით გამდიდრებულ სილიკომანგანუმს.

ცხელ გაზსა და ორთქლს ღუმელიდან სალექებში შეაქვთ მტვერი და ფისი, რომლებიც რეზინოვების ფსკერზე ილექება. გამოირკვა, რომ შეიძლება ეს ფისოვანი ნივთიერებები ელექტროქემიკურ მრეწველობაში გამოვიყენოთ როგორც იზოლატორები. „სილიკოკოქსწვრილას“ მიღების ციკლური პროცესი უზრუნველყოფს სუფთა ჰაერს საწარმოს გარშემო.

ქვანახშირის ახალი კონცენტრატი, რომელიც არაკოქსადი ქვანახშირისაგან არის მიღებული, მნიშვნელოვნად ამცირებს ფოლადისათვის საჭირო დასამატებელი ალუმინის ხარჯვას და ზრდის მადნიდან მანგანუმის მიღებას. საჭირო აღარ არის კოქსწვრილა და ყვარცი, რომლებიც საქართველოში ამჟამად დონეცკიდან შემოაქვთ.

ტყიბულის ცენტრალურ მამდიდრებელ ფაბრიკაში ამჟამად მიმდინარეობს ასამუშავებელ-გასამართავი სამუშაოები ქვანახშირის ახალი პროდუქტის მისაღებად. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის მეცნიერები, საქართველოს შახტების მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტისა და სამრეწველო გაერთიანების „საქქვანახშირის“ სპეციალისტები „სილიკოკოქსწვრილას“ გამოშვებას დაიწყებენ სკკპ XXVI ყრილობის გახსნის დღისათვის. (საინფორმი).

დაჯილდოება

რკინიგზის ტრანსპორტზე მრავალ წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სპეციალი სიგელით დააჯილდოვა სსრ კავშირის გზათა სამინისტროს საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა ჯგუფი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით რკინიგზის ტრანსპორტზე მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის სისტემის მუშაკებს მიენიჭათ „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“, „საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებლის“, „საქართველოს სსრ დამსახურებული ენერგეტიკოსის“, „საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკის“, „საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდებები. (საქინფორმი).

კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

„კომუნისტს“ უპასუხებენ

საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომი

„კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილში „ტექნიკის რემონტი ჭიათურდება“ გაკრიტიკებული იყო ზუგდიდის რაიონის ხაზოგადოებრივი მეურნეობები, სადაც ჯეროვან ყურადღებას არ უთმობდნენ მექანიზაციას.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი ი. თოდუა გვწერს, რომ კრიტიკული წერილი სინამდვილეს შეესაბამება.

გაკრტიკებულ მეურნეობებში დამთავრდა მცირე მექანიზაციისათვის ელექტროდენის გაყვანა, „საქსოფლტექნიკასთან“ შეიქმნა ჩაის ხელის საკრეფი აპარატების შემკეთებელი უბანი. წლეულს მეურნეობებს გადაეცათ 24 ნაკრები საკრეფი მანქანა „საქართველო“, მიღებულია საჭირო რაოდენობის მანქანების სათადარიგო ნაწილები.

● ●

საქართველოს კომპარტიის ჩოხატაურის რაიკომი

„კომუნისტში“ დაბეჭდილ წერილში „ტირის ვაზი ობოლი“ გაკრიტიკებული იყო ერკეთის კოლმეურნეობა, სადაც 0,8 ჰექტარი ვენახი დაუმუშავებელი დატოვეს.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ჩოხატაურის რაიკომის პირველი მდივანი გ. ალანდარიშვილი გვატყობინებს, რომ რაიკომის ბიურომ ვენახის მოუვლელობისათვის ერკეთის კოლმეურნეობის აგრონომის უფროსს ვ. ბერიძეს გამოუცხადა სასტიკი საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით, ხოლო გამოვლენილი ნაკლოვანებების სალიკვიდაციო ღონისძიებების განუხორციელებლობისათვის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მ. უჯამაჯარიძეს, პარტიული კომიტეტის მდივანს ნ. ჯინჭარაძეს და მთავარ აგრონომს გ. ბგალობლიშვილს — საყვედური.

აღნიშნული ვენახის ფართობი ამჟამად ყოველმხრივ დამუშავებული და კარგი მოსავალიც არის მოსალოდნელი.

მოკლედ

ყოველი მხრიდან

4 სექტემბერი

● **ბუდაპეშტი.** მიმდინარე ხუთწლედში უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მეტალურგიისა და მანქანათმშენებლობის საწარმოებში თითქმის მესამედით შემცირდა ენერგიის მოხმარების ზრდის ტემპი. ეს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში ენერგიის დაზოგვის ვრცელი პროგრამის შესრულების შედეგია.

● **ლონდონი.** უდიდესი დეფიციტით — 2,7 მილიარდი გირვანქა სტერლინგით დაამთავრა დიდმა ბრიტანეთმა სავაჭრო ბალანსი „საერთო ბაზრის“ ქვეყნებთან 1979 წელს. ეს ქვეყნის საგარეო ვაჭრობის დეფიციტის საერთო მოცულობის თითქმის 80 პროცენტია. ამას იუწყება ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

● **ბრიუსელი.** სულ უფრო აქტიურდება ბელგიის მშრომელი მასების ბრძოლა მემარჯვენე ცენტრისტული კოალიციური მთავრობის ანტიხალხური სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის წინააღმდეგ. საყოველთაო 24-საათიანი გაფიცვა 19 სექტემბერს — აი ერთიანი პროფკავშირული ფრონტის პასუხი ხელისუფალთა იმ მორიგ პროვოკაციულ აქციაზე, რომ 2 პროცენტით შეამცირონ სახელმწიფო სექტორის საწარმოებსა და დაწესებულებებში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი.

ნატოს მანევრები

ბრიუსელი. 4 სექტემბერი. ამა წლის 11 სექტემბრიდან 6 ოქტომბრამდე თურქეთის ტერიტორიაზე მოეწყობა სამხედრო მანევრები, რომელთა კოდური სახელწოდებაა „ანვილ ექსპრეს-80“. ეს გამოაცხადა ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესმა სარდლობამ.

მანევრებში მონაწილეობას მიიღებს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ბელგიის, იტალიისა და თურქეთის 3 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი. წვრთნის მონაწილე სახმელეთო და სამხედრო-საზღვაო ნაწილებს ჰაერიდან დაეხმარებიან ამერიკის შეერთებული შტატების, იტალიისა და თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალები.

„ანვილ ექსპრეს-80“ წვრთნის მთავარი მიზანია „კრიზისის რაიონებში“ თურქეთის ჯარების სწრაფი გადასროლის მეთოდების დახვეწა, აგრეთვე ნატოს ჯარების საბრძოლო მზადყოფნის „შემოწმება“.

თურქეთის ტერიტორიაზე მანევრები გაიმართება ნატოს იმ საბრძოლო წვრთნის ფარგლებში, რომლის კოდური სახელწოდებაა „ოტმ ფორჯ-80“. ეს წვრთნა ამა წლის სექტემბერ-დეკემბერში მოეწყობა დასავლეთ ევროპის სხვადასხვა რაიონში.

ნატოს წვრთნა აშკარად გამოხატული პროვოკაციული ხასიათისაა, ვინაიდან ეწყობა საბჭოთა კავშირის საზღვრების უშუალო სიახლოვეს. ნატოს ფართო მასშტაბის სამხედრო „ასპარეზობა“ ერთხელ კიდევ მოწმობს ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის აგრესიულ ზრახვებს. დასავლეთ ევროპის საზოგადოებრიობა, რომლის ტერიტორიაც ნატოელმა სტრატეგებმა უპრეცედენტო გაქანების მანევრების მოსაწყობ პოლიგონად გადააქციეს, სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამს ნატოს მილიტარისტული სამზადისის გამო.

პრესის „თავისუფლება“ ამერიკულად

ნიუ-იორკი, 4 სექტემბერი. ამერიკის ხელისუფლებმა კვლავ ცხადყვეს, თუ რად ღირს მათი მტკიცებანი ამერიკის შეერთებულ შტატებში პრესის „სრულიად“ თავისუფლების შესახებ. ქალაქ ოსტინის (ტეხასის შტატი) სასამართლო ორგანოებმა „სასამართლოსადმი უპატივცემულობის“ გამო დიდი თანხით დააჯარიმეს და დააპატიმრეს ადგილობრივი ჟურნალისტი შარკ მაკკინონი. მას „ბრალად“ ის ედება, რომ უარი თქვა საგამოძიების ორგანოებისათვის გადაეცა ირანის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის საწინააღმდეგო სპარტაკიადა დემონსტრაციის ფოტოსურათები.

ინდოეთი შეშფოთებულია

დელი. 4 სექტემბერი. ინდოეთი სერიოზულად არის შეშფოთებული იმის გამო, რომ ჯაფესა და ქაშმირის ტერიტორიაზე სულ უფრო ძლიერდება პაკისტანის სპეცსამსახურების პროვოკაციები. როგორც სრინაგარიდან იუწყებიან, ინდოეთის უშიშროების ძალები შეუდგნენ ოპერაციებს, რათა გაჩხრიკონ მთელი რაიონი ჯამუსა და ქაშმირში ცეცხლის შეწყვეტის ხაზის გაყოლებით 750 კილომეტრზე. სასაზღვრო ნაწილები გაძლიერეს დამატებითი კონტიგენტებით, ქალაქების სრინაგარისა და ლეხის აეროპორტებში შემოღებულია უშიშროების მკაცრი ღონისძიებანი ტერორისტული აქციების თავიდან ასაცილებლად.

გაზეთი „ჰინდუ“ აღნიშნავს, რომ ეს ღონისძიებები განახორციელეს პაკისტანში ბაზირებული „ეროვნული განთავისუფლების ფრონტის“ ორგანიზაციის ძირგამომთხრელი საქმიანობის გაფართოებასთან დაკავშირებით. არალეგალურად მოქმედი ორგანიზაციის წევრები შტატში ავრცელებენ ფურცლებს, სადაც იმუქრებიან, რომ განახორციელებენ „შეიარაღებულ შეჭრას“ ინდოეთის ტერიტორიაზე ცეცხლის შეწყვეტის ხაზიდან.

მაგრამ საქმე მხოლოდ მუქარით როდი ამოიწურება. როგორც „ჰინდუ“ იუწყება, ამ კუტა ხნის წინათ ინდოელმა მესაზღვრეებმა საზღვარი არ დაარღვევინეს ჯგუფს, რომელიც 80 შეიარაღებული პაკისტანელისაგან შედგებოდა. ამ ინციდენტს მოჰყვა ის, რომ პაკისტანის ჯარებმა მოულოდნელად აუტეხეს სროლა ინდოეთის რამდენიმე სასაზღვრო პატრულს, პაკისტანის თვითმფრინავმა დაარღვია ინდოეთის საჰაერო სივრცე კარგილის რაიონში.

უკანასკნელ ხანს, წერს გაზეთი, უშიშროების ძალებმა პაკისტანის საზღვრის მახლობლად 10-ზე მეტი ჯაშუში დააკავეს. დაკითხვებზე მათ თქვეს, რომ ჯამუსა და ქაშმირში მოქმედებს რამდენიმე იატაკქვეშა ბაზა, რომლებიც უზრუნველყოფენ პაკისტანის აგენტურის შეგზავნას ინდოეთში.

მათ აგრეთვე განაცხადეს, რომ პაკისტანის სამხედრო ხელისუფლებმა გილგიტისა და ხუნზის მთის პლატოების რაიონში შექმნეს ორი ბანაკი შეიარაღებული ბანდიტის მოსამზადებლად, რომლებსაც ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გზავნიან ხოლმე.

ინდოეთის გაზეთები აღნიშნავენ, რომ პაკისტანი აწყობს გეგმებს, რათა ინდოეთს ჩამოაშოროს არა მარტო ჯამუსა და ქაშმირის შტატი, არამედ აგრეთვე მთელი რიგი ეგრეთ წოდებული მაჰმადიანური რაიონები. ამისათვის პაკისტანის სპეცსამსახურები იყენებენ ჯაშუშებსა და დივერსანტებს, დიდძალი სახსრებითა და იარაღით ამარაგებენ ინდოეთში მოქმედ რეაქციულ მაჰმადიანურ ორგანიზაციებს და ექსტრემისტულ დაჯგუფებებს. ადგილობრივი პრესა ხაზს უსვამს, რომ პაკისტანის ხელისუფალთა ანტიინდოურ კურსს აქტიურად უჭერენ მხარს ვაშინგტონი და პეკინი.

მთავარი მიმართულება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელ ლ. ი. სიტყვაში ღრმად არის განაზოგადებული მსოფლიოში ამჟამად შექმნილი ვითარება, განსაზღვრულია მშვიდობისათვის ბრძოლის ძირითადი მიმართულებანი, საბჭოთა საზოგადოების წინაშე დასახული სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განვითარების ამოცანები, წერს მოწინავე სტატიაში ჩეხოსლოვაკიის გაზეთი „რუდე პრავო“. ლ. ი. ბრეჟნევმა, რომელიც შეეხო თანამედროვე საერთაშორისო განვითარების რთულ პრობლემებს, წარმოაჩინა, ერთი მხრივ, მშვიდობისა და პროგრესის ძალებისა და, მეორე მხრივ, რეაქციის, მილიტარიზმისა და აგრესიის ძალების პოლიტიკური ბრძოლის მთელი სიმძაფრე.

ჩვენ მხარდამხარ მივყვებით საბჭოთა კავშირს მის პრინციპულ ბრძოლაში მშვიდობისათვის, მთელი კაცობრიობის ბედნიერი მშვიდობიანი მომავლისათვის.

სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად პოლონეთმა ხელი მოაწერა დაძაბულობის შენელებისა და განიარაღებისათვის მოქმედების ფართო პროგრამას, რომელსაც შეიცავს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა დეკლარაცია, წერს პოლონეთის გაზეთი „ჟიჩე ვარშავი“. საბჭოთა კავშირი, სხვა სოციალისტური ქვეყნები მზად არიან შეუდგნენ მოლაპარაკებას ევროპაში საშუალო საშორის რაკეტულ-ბირთვული იარაღის თაობაზე და მიაღწიონ პროგრესს ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების შესახებ მოლაპარაკებაზე. ისევე როგორც საბჭოთა კავშირს, პოლონეთსაც სავსებით აქვს შეგნებული თავისი პასუხისმგებლობა მშვიდობის ბედისათვის, კავშირის სიმტკიცისათვის, ევროპის საზღვრების ურღვევობისათვის. სწორედ ამიტომ საბჭოთა ყაზახეთის დედაქალაქში ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ სიტყვას ასეთი სერიოზულობით შეხედნენ პოლონეთის მიწა-წყალზე, წერს გაზეთი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა კვლავ დაადასტურა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის სამშვიდობო ხასიათი, განაცხადა საკავშირო კორესპონდენტებისათვის მიცემულ ინტერვიუში დიდი ბრიტანეთის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ, „ხალხთა შორის მშვიდობის დამტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატმა ბორდონ შაფერმა. ამის დამადასტურებელია ის, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის გადადგას კონკრეტული ნაბიჯები მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებისათვის.

რაოდენ მკვეთრად განსხვავდება საბჭოთა ხელმძღვანელის სიტყვა იმ აგრესიული, მოწოდებებისაგან, რომლებიც პირზე აკერიათ დასავლეთის სახელმწიფოების, უპირველეს ყოვლისა, შეერთებული შტატების ტაბლოებსა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებს. ისინი ყოველნაირად აღვიძებენ ომის ისტერიას და ცდილობენ ამით დასავლეთის მშრომელთა ყურადღება ჩამოაშორონ ეკონომიკურ სიძნელეებთან ბრძოლის ნამდვილი დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებებისათვის ბრძოლის საარსებო პრობლემებს, უთხრა საკდესის კორესპონდენტს ირლანდიის კომპარტიის გენერალური მდივნის მოადგილემ ჯ. სტიუარტმა.

ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საერთაშორისო ვითარების გამწვავების მიუხედავად სსრ კავშირი კვლავინდებურად რჩება თავისი საგარეო-პოლიტიკური კურსის ერთგული, რომლის მიზანია აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობაში პოლიტიკური და სამხედრო დაძაბულობის შენელების მიღწევა, თქვა ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობის საბჭოს ჩრდილოეთ კალიფორნიის განყოფილების თავმჯდომარემ ირმა ტეუმინენმა. საბჭოთა ხელმძღვანელმა სავსებით სამართლიანად აღნიშნა, რომ მსოფლიოში ამჟამად არსებული ვერც ერთი პრობლემა ვერ გადაწყდება „ძალის პოზიციიდან“. სამწუხაროდ, კარტერის ადმინისტრაცია ცდილობს სწორედ ამ გზით იაროს.

ზეიმი ფინეთში

ჰელსინკი. ფინეთმა ზეიმით აღნიშნა რესპუბლიკის პრეზიდენტის ურჰო კალევა კეკონენის დაბადების მე-80 წლისთავი.

პრეზიდენტის სასახლეში გამართულ ცერემონიალზე ურჰო კალევა კეკონენს გულითადად მიულოცა საბჭოთა სახელმწიფო დელეგაციამ. დელეგაციის მეთაური — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი მიესალმა იუბილარს და წაიკითხა და გადასცა წერილი, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა გამოუგზავნა პრეზიდენტ უ. კ. კეკონენს.

უ. კ. კეკონენმა მხურვალე მადლობა შეუთვალა ლ. ი. ბრეჟნევს გულითადად მილოცვისა და კეთილი სურვილებისათვის.

ჩვენ, თქვა პრეზიდენტმა, ერთად შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ქვეყნების ორმხრივი ურთიერთობა ვითარდება 1948 წლის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების საფუძველზე, ვითარდება კეთილმეზობლობის, მეგობრობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის სულისკვეთებით. ჩვენი ორმხრივი ნდობა განვლილ სამ ათეულ წელიწადზე მეტი ხნის მანძილზე იმდენად განმტკიცდა, რომ მას საერთაშორისო ვითარების ვერავითარი ცვლილება ვერ შეარყევს.

უ. კ. კეკონენმა დელეგაციას სთხოვა გულითადი სალამი გადასცეს ლ. ი. ბრეჟნევს, ა. ნ. კოსიგინს, ყველა საბჭოთა ხელმძღვანელს.

უ. კ. კეკონენის დაბადების მე-80 წლისთავის აღსანიშნავად გამართულ საუზმეზე სიტყვები წარმოთქვეს ფინეთის პრემიერ-ministრმა მ. კოივისტომ, ფინეთის პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა.

საღამოს ურჰო კალევა კეკონენმა დარბაზობა გამართა პრეზიდენტის სასახლეში.

ფინეთის პრეზიდენტის პატივგებამ ცხადყო, რომ ფინელი ხალხი ფართოდ უჭერს მხარს ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ კურსს — პაასიკივი კეკონენის გეზს, უ. კ. კეკონენის მეცადინეობას, რომლის მიზანია მშვიდობის განმტკიცება და საერთაშორისო დაძაბულობის შენელება.

გაზეთ „მატენის“ ცნობა

პარიზი, 4 სექტემბერი. გაზეთი „მატენი“ იმოწმებს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის წევრის ჟენ იჟენის განცხადებას და იუწყება, რომ არასრული შეფასებითაც კი მაო ძედუნის განკარგულებით დაწყებული „კულტურული რევოლუციის“ დროს დახოცეს 8-დან 10 მილიონამდე კაცი, ხოლო დევნას განიცდიდა 200 მილიონი კაცი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაიღუპა მოსახლეობის ერთი პროცენტი, ხოლო მოსახლეობის მეოთხედს ისე ექცეოდნენ, როგორც დამნაშავეებს.

ჰოლონეთის ამბები

ვარშავა. როგორც აქ იუწყებიან, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა სავოვევოდო კომიტეტების პირველ მდივანთა თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და სამდივნოს წევრები. თათბირი მიეძღვნა პარტიული მუშაობის თანამედროვე ამოცანებს.

თათბირზე გამოსვლისას პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ს. კანიამ გაუშუქა პარტიული ორგანოებისა და ორგანიზაციების ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. პინკოვსკიმ ინფორმაცია გააკეთა მთავრობის მიმდინარე და პერსპექტიული მუშაობის შესახებ.

ამასთან დაკავშირებით პოლონეთის პრესის საგაზეთო იუწყება, რომ მთავრობა პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს მონაწილეობით უძღვება იმ დებულებათა რეალიზაციის პროგრამის მომზადებას, რომლებიც გამომდინარეობს მთავრობის კომისიებისა და ქარხანათშორისი კომიტეტების შეთანხმებებიდან. მოსალოდნელია, რომ უახლოეს ხანს ამ საკითხს განიხილავს სეიმის სხდომა, რომელზეც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მთავრობის პროგრამას წარმოადგენს.

იუწყებიან, რომ განახლდა მუშაობა შახტებში.

როგორც პოლონეთის პრესა აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ საწარმოებმა განაახლეს მუშაობა, საერთოდ ქვეყანაში კვლავ რთული ვითარებაა. გაზეთები ხაზს უსვამენ, რომ პარტიამ აუცილებლად უნდა შეინარჩუნოს ხელმძღვანელი როლი ქვეყანაში, განამტკიცოს პოლონეთის მუშათა კლასთან, ყველა მშრომელთან კავშირი.

ქვეყნის ანტისოციალისტური ძალები არ წყვეტენ ძირგამომთხრელ საქმიანობას. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს გაზეთ „ტრიბუნა ლუდუში“ გამოქვეყნებული სტატია, რომლის სათაურია „ფუჭი ვარაუდი“. სტატიაში ნათქვამია: იმ დროს, როდესაც პოლონეთის მუშათა კლასი ვითარების სტაბილიზაციას ესწრაფვის, ცდილობს დაძლიოს სიძნელენი და ნორმალურ კალაპოტში ჩააყენოს საწარმოო პროცესი, პოლონეთისადმი მტრული ძალები ლამობენ გააღრმაონ ნეგატიური პროცესები. სტატიაში აშკარად არის ხაზგასმული ამ ელემენტების კავშირი ანტისოციალისტურ ძალებთან, რომლებიც პოლონეთის ფარგლებს გარეთ მოქმედებენ.

სოციალისტური პოლონეთისადმი თავიანთი მტრული დამოკიდებულებით ცნობილმა გაზეთებმა და რადიოსადგურებმა, წერს „ტრიბუნა ლუდუ“ მოულოდნელად დაიწყეს მტკიცება, რომ „სოლიდარობენ“ პოლონელებს, და მათთან „საერთო“ მიზნები აერთიანებთ. როგორც გაზეთი აღნიშნავს, განსაკუთრებით იჭეჭება რადიოსადგური „თავისუფალი ევროპა“, რომელიც გადაცემებში საგანგებოდ უსვამს ხაზს თავის „უდიდეს მონაწილეობას“ პოლონეთის ამბებში და არ მალავს სურვილს გამოიყენოს სანაპიროს მოდებული გაფიცვა სახალხო პოლონეთის და მისი მოკავშირეების სახელმწიფო და საზოგადოებრივ წყობილებაზე იერიშის მისატანად. პოლონეთისათვის განკუთვნილი „თავისუფალი ევროპის“ ყველა გადაცემა დაფუძნებულია სოციალიზმის წინააღმდეგ „ფსიქოლოგიური ომის“ კანონებზე, აგრესიული ანტიკომუნიზმისა და სსრ კავშირისადმი აშკარა მტრობის პრინციპებზე. ამ გადაცემების მიზანია გამოიწვიონ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში არსებული წყობილების საწინააღმდეგო განწყობილება, დასძენს გაზეთი.

ეს მარტოოდენ იმ რადიოსადგურებსა და გაზეთებს როდი ეხება, რომლებიც „პროფესიულად“ არიან გაწაფული იდეოლოგიურ დივერსიებში. მაგალითად, „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აღნიშნავს იმ ცდებს, როცა დასავლეთის გარკვეული წრეები ცდილობდნენ ესარგებლათ პოლონეთში მიმდინარე ამბებით და გაეფუჭებინათ პოლონეთის ურთიერთობა მეზობელ მოკავშირეებთან. გაზეთი აყენებს ერთგვარი „საყოველთაო სოციალიზმის“ ლოზუნგს, რომელიც პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ამჟამად არსებულ საზოგადოებრივ სოციალისტურ თანამეგობრობასთან.

პოლონეთისადმი მტრული ძალების იმედების ამოუმა ცხადზე უცხადესია. წერს დასასრულ „ტრიბუნა ლუდუ“. ჩვენ ნიადაგ უნდა გვახსოვდეს, რომ ქვეყანაში მოქმედი სოციალისტური პრინციპები არ უნდა დავარღვევინოთ იდეოლოგიურ და პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს. ჩვენ კვლავაც მტკიცედ გავილაშქრებთ ანტიპოლონური და ანტისოციალისტური ცენტრების წინააღმდეგ — ასეთია პოლონეთის მუშათა კლასისა და მთელი ჩვენი საზოგადოების აზრი.

ფოტოინფორმაცია



მჭიდრო, მეგობრული თანამშრომლობით

საბჭოთა კავშირს მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან აკავშირებს მჭიდრო, მეგობრული თანამშრომლობა. ჩვენი პლანეტის ყველა კუთხეში მოსწონთ საბჭოთა საწარმოების მიერ დამზადებული პროდუქცია.

ავტრიაში დიდად პოპულარულია საბჭოთა ავტომანქანები „ლადა“ და „ნივა“.

სოფიის ლითონნების კოროზიისაგან დაცვის ინსტიტუტში მიმდინარეობს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს თანამშრომლობით გათვალისწინებული სამუშაოები.

რუმინეთის, იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის ძმური თანამშრომლობის მაგალითად არის მიჩნეული დუნაიზე აგებული ენერგეტიკული სისტემა „ჯერდაპი“.

სულ უფრო ფართოვდება სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა განახა და საბჭოთა კავშირს შორის. განსაკუთრებით მოსწონთ განაში საბჭოთა ტრაქტორი „ბელორუსი“.



სურათებზე: საბჭოთა ავტომანქანები ვენის ქუჩებში (მარცხნივ ზევით); სოფიის ლითონნების კოროზიისაგან დაცვის ინსტიტუტის ლაბორატორიაში (მარცხნივ შუაში), რუმინეთის ენერგეტიკული სისტემა „ჯერდაპი“ (ქვევით); საბჭოთა ტრაქტორი „ბელორუსი“ განაში.

საკადესის ფოტოქრონიკა.

მორიგი დანაშაული

რომი, 4 სექტემბერი. იტალიის გაზეთ „მესაჯეროს“ მესტამბე მაურიციო დი ლეო მოკლეს ექსტრემისტული ორგანიზაციის „შეიარაღებული რევოლუციური უჯრედების“ წევრმა ნეოფაშისტებმა. როგორც გაიარკვა, მუშა მოკლეს „შეცდომით“. შავხალათიანები აპირებდნენ „მესაჯეროს“ ჟურნალისტის მიქელე კონჩინას მოკვლას, რომელიც სწავლობდა მასალებს ნეოფაშისტების ტერორისტული საქმიანობის შესახებ.

მემარჯვენე ექსტრემისტების ახალმა დანაშაულმა აღაშფოთა ქვეყნის დემოკრატიული საზოგადოებრიობა, მას ნეოფაშისტთა ეს გამოხდომა მიაჩნია რეაქციის ცდად დაანშინოს ჟურნალისტები, რომლებიც აშკარავებენ შავხალათიანთა ბანდიტურ გამოხდომებს.

ნეოფაშისტი არამზადები რომ არ „შემცდარიყვნენ“, მიქელე კონჩინა მეათე ჟურნალისტი იქნებოდა, რომელიც ტერორისტებმა იმსხვერპლეს 1977 წლის ივნისიდან.

როგორც ადგილობრივი პრესა აღნიშნავს, ნეოფაშისტებმა ჩაიდინეს მორიგი დანაშაული სწორედ ერთი თვის შემდეგ, რაც მათ აფეთქება მოაწყვეს ბოლონიის რკინიგზის ვაგზალში.

ხალხთა ნება გაიმარჯვებს

ჩილეს მშრომელები და მთელი ხალხი აქტიურად იბრძვიან სამხედრო-ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ. ეს თქვა 8 სექტემბრს მოსკოვის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კრებაზე, რომელიც პრეზიდენტის არჩევნებში ჩილეს სახალხო ერთიანობის გამარჯვების მე-10 წლისთავს მიეძღვნა.

ჩილეს კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ლუის კორვალანმა თავის გამოსვლაში გულწრფელი მადლობა გადაუხადა საბჭოთა ადამიანებს მისი ქვეყნის ხალხის ბრძოლასთან სოლიდარობისათვის.

ჩვენი ბრძოლა, თქვა მან, ახალ ეტაპში შევიდა. ფაშიზმმა ისეთი სიტუაცია შექმნა, როდესაც ჩვენი ხალხი იძულებულია რევოლუციური ძალადობაც კი გამოიყენოს.

ერთხულოვნად მიღებულ რეზოლუციაში გამოთქმულია რწმენა, რომ ჩილელი ხალხის, ჩილეს მთელი ანტიფაშისტური ძალების გმირული ბრძოლა სოლიდარობის საერთაშორისო მოძრაობის მხარდაჭერით, რეაქციასა და ფაშიზმზე გამარჯვებით დამთავრდება.

ჩილეს კომპარტიის განცხადება

ბუენოს-აირესი. 3 სექტემბერი. (საკდესი). ჩილეს კომპარტიამ ამხილა პინოჩეტის გეგმები, რომ დარჩეს ხელისუფლების სათავეში და ქვეყანაში დაამკვიდროს ფაშიზმი. კომპარტიის სანტიაგოში გავრცელებულ განცხადებაში ხაზგასმულია, რომ პინოჩეტი „ფსევდოპლებისციტს“ ამზადებს იმ ღრმა მიზეზის მიჩქმალვის მიზნით, რომელსაც რეჟიმი განიცდის. ეს ფარსი ჩილელი ხალხის აღშფოთებას იწვევს. პინოჩეტის მანევრები დაგეგეს ჩილეს მთელმა დემოკრატიულმა ძალებმა, რომლებმაც განაცხადეს, რომ ქვეყნისათვის თავგმოხვეული „კონსტიტუციის“ მეშვეობით დიქტატორი აპირებს კიდევ 23 წლის განმავლობაში მართოს ჩილე, დაჩანონოს კორუფციული და სისხლიანი რეჟიმი.

ქვეყანაში შემოღებული საგანგებო წესების, პოლიტიკურ პარტიათა საქმიანობის აკრძალვის, ამომრჩეველთა სიების უქონლობის, საარჩევნო ტრიბუნალის არარსებობის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიუწვდომლობის პირობებში მომავალ რეფერენდუმს“ არა აქვს არც მორალური, და არც იურიდიული ძალა.

ამ დღეებში, ხაზგასმულია განცხადებაში, ჩილეში ძლიერდება რეპრესიები, გრძელდება დაპატიმრება და გადასახლება. რეჟიმი ცდილობს ჩაახშოს ამ ფარსის გამო უთანხმოების უმეცრესი გამოვლინება. პინოჩეტმა იცის, რომ პიროვნების თავისუფლებისა და უშიშროების სრული გარანტიის პირობებში მას მოსპობდა ხალხის რისხვა.

ჩილელ ხალხს, აღნიშნულია დ

ახალი სეზონი: გეგმები, ფიქრები

ახალგაზრდობა იწყებს...

მეტეხის ახალგაზრდულმა დრამატულმა თეატრ-სტუდიამ თავისი ახალი, რიგით მერვე სეზონი გახსნა. თეატრის კოლექტივი კვლავ ვინდებულად ორ ადგილას იმუშავებს — მეტეხის ტაძარში და „თეატრალურ კარავში“ (კომუნარების ქვედა ბაღი).

სეზონი გაიხსნა „თეატრალურ კარავში“ სპექტაკლით „მწუხარე სახის რაინდი“, რომელიც შექმნილია სერვანტესის „დონ კიხოტის“ მიხედვით. სექტემბერსა და ოქტომბერში აქვე ნაჩვენები იქნება მიუზიკლი „შეშლილთა ხომალდი“. ამ უკანასკნელმა სპექტაკლმა წარმოაჩინა თეატრის ახალგაზრდა მსახიობთა კარგი ვოკალური მონაცემები, რის გამოც თეატრი თავის რეპერტუარში კვლავაც დაგეგმავს მუსიკალურ სპექტაკლებს. წარმოვადგენთ აგრეთვე დ. კლდიაშვილის „უბედურებას“ და ნ. დუმბაძის „დიდროს“.

მეტეხის თეატრს ახალგაზრდა დრამატურგებთან მუშაობის კარგი ტრადიცია აქვს. ახალ სეზონში ვაპირებთ დავდგათ ე. ნიკარაძის საინტერესო პიესა „ელოდე ვარსკლავთცვენას“ (რეჟისორი კ. გურგენიძე), რომლის პრემიერაც ნავარაუდევია ოქტომბრის დასაწყისისათვის. ოქტომბერშივე წარმოვადგენთ ა. ჩხეიძეშვილის პიესას „ბუსს“, რომელიც სკკვ და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობებს ეძღვნება.

ახალ სეზონში დიდ ადგილს დაუთმობთ კლასიკას, კერძოდ, უნდა დავდგათ შექსპირის „მაკბეტი“ და ოსტროვსკის „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“ (რეჟისორი ტ. ბუხბინდერი).

მეტეხის თეატრს მჭიდრო კავშირი აქვს ჩვენი რესპუბლიკის და, კერძოდ, თბილისის ახალგაზრდობასთან. ეს ტრადიცია გაგრძელდება იმით, რომ ახალგაზრდულ კლუბ „ამირანში“ ვიჩვენებთ სპექტაკლს „მატყუარებს“ (მ. კარნეს სცენარის მიხედვით).

ჩვენთვის ფრიად საინტერესო აღმოჩნდა შეხვედრა საქართველოს ისტორიის დრამატულ მოტივებთან. და ალბათ „განკითხვის დღის“, შემდეგ მაყურებლისათვის მოულოდნელი არ იქნება სპექტაკლის „კოლაელ ყრმათა წამების“ ხილვა, რომელსაც ანონიმი ავტორის ამავე სახელწოდების უძველესი მოთხრობა დაედო საფუძვლად.

თეატრი აქტიურად თანამშრომლობს ახალგაზრდა დამწყებ რეჟისორებთანაც. ჩვენ მათ ყველა პირობას ვუქმნით, რათა სრულად გამოავლინონ საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალი. წელს ჩვენთან სპექტაკლებს დადგამენ თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები, მომავალი რეჟისორები ა. ვარსიმაშვილი, მ. არეშიძე და სხვები.

ამ სეზონშივე ველოდებით პოლონეთის ქალაქ კრაკოვის თეატრ „სტუს“ რეჟისორს ი. მალეკს, რომელმაც მეტეხის ტაძრის სცენაზე უნდა დადგას ტ. რუჟევიჩის გახმაურებული პიესა „კარტოთეკა“.

ამ ზაფხულს თეატრი თავისი სპექტაკლებით წარდგა — ამბროლაურისა და ონის მაყურებელთა წინაშე, რითაც თავისი წვლილი შეიტანა მაღალმთიანი რაიონების კულტურული მომსახურების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების ხორცშესხმაში. ეს კარგი ტრადიცია, უეჭველად, მომავალშიც გაგრძელდება.

მეტეხის თეატრს ფართო კონტაქტები აქვს საბჭოთა კავშირის მრავალ თეატრალურ კოლექტივთან, ახალ სეზონში შემოქმედებითი შეხვედრები გვექნება რიგაში, ლენინგრადსა და კიევში.

ასე რომ, ახალგაზრდული თეატრის ეს სეზონი თავის მაყურებელს ბევრ საინტერესოს ჰპირდება.

ს. მრევლიშვილი,

მეტეხის ახალგაზრდული თეატრ-სტუდიის დირექტორი და მთავარი რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

რესპუბლიკის ქალაქებში



ფოთი

საჰაერო

ტრასებზე

ახალი ეტაპი დაიწყო ფოთის აეროპორტის ცხოვრებაში. ამ რეკონსტრუირებული საჰაერო ჭიშკრიდან საფრენი ხიდი გაიდო შავი და აზოვის ზღვების მთავარ სანავსადგურო ქალაქებთან — ოდესასთან და სიმფეროპოლთან. ჯერჯერობით ამ ტრასებზე „იაკ-40“ ლაინერები კვირაში სამჯერ ფრენენ.

წინანდელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა შიდა რესპუბლიკური რეისები. თბილისთან ყოველდღე ფრენა ოთხი რეისით წარმოდგებს, სოხუმთან — შვიდი, ქუთაისთან — ორი, ხოლო ბათუმთან ერთი რეისით. ყველა მიმართულებით მგზავრთა დიდი ნაკადია.

ცეთილმოყოფა აეროპორტის ტერიტორია და სამომსახურეო ნაგებობანი. მწყობრში ჩადგა საჰაერო მიმოსვლის ახალი საგენტო. ცალკე სააგენტოებია მალთაყვის ტურისტულ ბაზაში და ცხაკაის რაიონულ ცენტრში. მალე ასეთი ფილიალები გაიხსნება სუფსასა და მაგნიტოში.

აეროპორტის რეკონსტრუქცია-კეთილმოწყობის სამუშაოთა შესრულებაში დიდი წვლილი შეიტანეს რესპუბლიკის სამოქალაქო ავიაციის № 20 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველომ, აგრეთვე მე-13 საგზაო-საექსპლოატაციო უბანმა, ფოთის, ლანჩხუთის, ზუგდიდის ავტოსატრანსპორტო საწარმოებმა და ქალაქის სხვა ორგანიზაციებმა.

მრავალმხრივი

ალიარებით

შორს გაითქვა სახელი მიდრომექანიზაციის შაქანათაშენებელმა ქარხანამ. მიმდინარე წლის პირველი კვარტალის შედეგებით იგი საკავშირო მასშტაბით მეორე ადგილზე გამოვიდა, რაციონალიზატორულ-საგამომგონებლო საქმიანობასა და ხარისხისნინშნიანი პროდუქციის გამოშვებაში მიღწეული წარმატებებისათვის საწარმო დაჯილდოდა რესპუბლიკური და საკავშირო დიპლომებით, ახლახან სსრ კავშირის სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტროს კოლეგიასა და შესაბამისი დარგობრივი კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით მას „წარმოების მაღალი კულტურის საწარმოს“ წოდება მიენიჭა.

პირველი

ნავსადგურში

გოლიათურად გადაჰყურებს ლურჯად მოლივლივე ზღვის მორიზონტებს საზღვაო ვაგზლის დიდებული შენობა. მისი კოლექტივი სიამაყით ატარებს კომუნისტური შრომის სახელს.

ვაგზლის კოლექტივმა, რომელსაც სათავეში უდგას ვეტერანი ნავსადგურელი, რამდენიმე ორდენისა და მედლის კავალერი მარიამ ჩაჩიბაია, ვადამდე ხუთი თვით ადრე შეასრულა მეათე ხუთწლედის დავალება.

ტრადიციად

მკვიდრდება

სიახლის მშვენებად იქცა ქუჩრების დათვალიერება-ზეიმი, რომლის პირველ ეტაპში მონაწილეობდა ქალაქის გულიდან სხვიერად განშტოებული თორმეტივე მთავარი მაგისტრალი. მათგან გამარჯვება ერგოთ ცხაკაიას, ჯუღაშვილის, აკაკისა და მშვიდობის ქუჩებს.

ამჯერად მომდინარეობს მეორე ეტაპისათვის მზადება, რომელშიც დასახელებულ ქუჩებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს 14 ქუჩა და რკინიგზის მოედანი.

კ. კომახიძე,
„კომუნისტის“ კორ.

სურათზე: ფოთის საზღვაო ვაგზლის შენობის ხედი.

ყაბახი

პრეზიდენტობის ნახევარფინალურ მაჯრაზე

1,5:0,5 ნონას სასარგებლოდ

პირველი პარტიის დამთავრება დიდხანს არ გაგრძელებულა. იოსელიანმა ლაზიერების ფრთაზე პაიკების გაცვლით საკმაო კონტრთამაში შექმნა. იგი მეფითა და კუთი კონტროლს უწევდა შავების გამსვლელ პაიკებს ლაზიერის ფრთაზე. ამასთან გაფრინდაშვილსაც უნდა მიექცია ყურადღება თეთრების ცენტრალური გამსვლელი პაიკისათვის. ამიტომ მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ.

პარტია გადადებული იყო ასეთ პოზიციაში:

იოსელიანი: მფd4, კc3, პ.პ. b4, c4, d5, f3, g4, h3 (8)

გაფრინდაშვილი: მფf7, კb3, პ.პ. a6, b7, c7, d6, f6, g7, h6 (9)

პარტია ასე დამთავრდა: 43. კe1 (ჩაწერილი სვლა) კd1 44. მფe3 b6 45. h4 g6 46. კc3 h5 47. gh gh 48. კe1 მფg6 49. კg3 მფf5 50. c5 bc 51. bc dc 52. კ:c7 c4 53. f4 ყაიმი გაფრინდაშვილს წინადადებით.

ამის შემდეგ განახლდა მეორე პარტია. როგორც ანალიზმა ცხადყო, თეთრებს ტაქნიკურად მოსაგები დაბოლოება ჰქონდათ. ეტაპების გაცვლის შემდეგ თამაში გადავიდა ლაზიერების ენდშპილში თეთრებისათვის ორი ზედმეტი პაიკით. აქ გაფრინდაშვილმა დათმო ერთი პაიკი, რის სანაცვლოდაც მაქსიმალურად გააძლიერა პოზიცია. თეთრების განაპირა გამსვლელი პაიკი წინ დაიძრა. ამის წინააღმდეგ იოსელიანს არ შეეძლო რაიმე ეღონა და 64-ე სვლაზე შეწყვიტა წინააღმდეგობა.

მეორე პარტია. გადადებული იყო ასეთ მდგომარეობაში: გაფრინდაშვილი — მფg1, ლa5, ეe1, პ.პ. a3, e3, f2, g3, h2 (8), იოსელიანი — მფg8 ლa2, ეd2, პ.პ. f7, g7, h6 (6).

აი ამ პარტიის დაბოლოება: 42. ლa8+ (თეთრებმა ეს სვლა ჩაიწერეს) მფh7 43. ლf3 ეd6 44. ლe4+ g6 45. ლe7 ეa6 46. ეc1 ეa5 47. ეc5 ე:c5 48. ლ:c5 ლb1+ 49. მფg2 ლe4+ 50. მფf1 ლh1+ 51. მფe2 ლ:h2 52. ლd5 მფg7 53. a4 ლg1 54. a5 ლb1 55. a6 ლb2+ 56. ლd2 ლb5+ 57. ლd3 ლb2+ 58. მფf3 ლf6+ 59. მფg2 ლc6+ 60. მფh2 h5 61. a7 ლa8 62. ლc3+ მფh7 63. ლc7 ლf3 64. ლf4 და შავები დანებდნენ.

ამრიგად ანგარიში გახდა 1,5:0,5 გაფრინდაშვილის სასარგებლოდ.

მორიგი პარტია დღეისათვის არის დანიშნული. თეთრებით ითამაშებს იოსელიანი.

გ. გამრეკელი.

პირველი გამარჯვება

8 სექტემბერს რეკიავიკში საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის პირველ შესარჩევ მატჩში ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა ისლანდიის ნაკრებთან. ჩვენი ნაკრებიდან მეტოქის კარში ბურთები გაიტანეს გავრილოვმა და ანდრეევმა, მასპინძელთაგან სვენსონმა.

მატჩის პირველი ტაიმი წარიმართა ჩვენი ნაკრების აშკარა უპირატესობით, მაგრამ მასპინძელთა დაცვა თავდაუზოგავად თამაშობდა, განსაკუთრებით გამოირჩეოდა მათი მეკარე ბერნსონი. თამაშის მეოცე წუთზე ისლანდიელთა კარში დაინიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა, მაგრამ მასპინძელთა მეკარემ აკრობატული ნახტომით მოიგერია ბურიაკის მიერ დარტყმული ბურთი. წარუმატებლობამ არ დააბნია სტუმრები, შესანიშნავად გათამაშებული კომბინაცია — შავლო-ანდრეევი-გავრილოვი ბოლოთ დაგვირგვინდა.

მეორე ტაიმში ისლანდიელები ცდილობდნენ თამაშში გარდატეხის შეტანას; ახლა დასაბეგ მოუხდა თავისი ოსტატობის ჩვენება, მასპინძელთა თავდამსხმელმა სვენსონმა ისარგებლა ჩვენი დაცვის შეცდომით და ანგარიში გაათანაბრა. სტუმრებმა კვლავ დაიწყეს ისლანდიელთა კარის შტურმი, ბლოხინის კარგი გადაცემის შემდეგ ანდრეევმა შეძლო თავისი გუნდის წინ გაყვანა.

საბჭოთა ნაკრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: დასაევი, სულაქველიძე, ჩივაძე, ხიდიაკუნინი, რომანცევი, ბესონოვი, შავლო (ოპანესიანი), გავრილოვი, ბურიაკი, ანდრეევი, ბლოხინი (როდიონოვი).

ხვავრიელი შემოდგომა

შემოდგომამ კვლავ გამოიტანა თბილისელთა სამყვარეროზე ბადოსტნების ბარაქა: 5 და 6 სექტემბერს რესპუბლიკის დედაქალაქში მოეწყობა ტრადიციული ბაზრობა — მოსახლეობისთვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წიყიდვა.

ამ დღეებში საშემოდგომო ნობათით დატვირთულ მანქანებს გამოგზავნიან თბილისში გორდაბინი, მარნეული, ბოლნისი, მცხეთა, გორი, გურჯაანი, ქარელი, კასპი, ხაშური, თეთრი წყაროო, ლაგოდეხი, სიღნაღი და დუშეთი. ქალაქის ყველა რაიონში გაიყიდება პამიდორი, კარტოფილი, ხახვი, კომბოსტო, ჭარხალი, ბადრიჯანი, უხვად იქნება ხილიც — ვაშლი, ქლიავი, მსხალი, ყურძენი და სხვ. სულ ორი დღის ვაჭრობის დროს გასაღდება დაახლოებით ორი ათასი ტონა პროდუქცია. (საქინფორმი).

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

ამ დღეებში ლ. ნ. სმირნოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის მოხსენების გამო პლენუმმა განიხილა საკითხი და მიღებულ დადგენილებაში სასამართლოებს მისცა განმარტება იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენონ კანონმდებლობა მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის დარღვევისა და კრიტიკის გამო დევნისათვის თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის შესახებ. აღინიშნა, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოებისადმი მოქალაქეთა მიმართვა იმ ინფორმაციის არსებითი წყაროა, რომელიც აუცილებელია სახელმწიფოებრივი, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის მიმდინარე და პერსპექტიული საკითხების გადაჭრის დროს, აგრეთვე პიროვნების უფლებათა განხორციელებისა და დაცვის საშუალებაა.

ამასთან პლენუმმა სასამართლოების ყურადღება მიაპყრო იმ კანონის მკაცრად დაცვის აუცილებლობას, რომელიც ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ცილისმწამებლური მიზნით განცხადებებისა და საჩივრების შეტანისათვის.

პლენუმმა მოისმინა აზერბაიჯანის სსრ, ესტონეთის სსრ უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეების, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოხსენებები სასამართლო ზედამხედველობის წესით სამოქალაქო საქმეთა განხილვის პრაქტიკის შესახებ. ამ საკითხზე სასამართლოებს საჭირო განმარტებანი მიეცათ.

განხილეს აგრეთვე საკითხი სასამართლოების მიერ დასჯის დამატებითი ზომების დანიშვნის პრაქტიკის შესახებ. პლენუმმა აღნიშნა, რომ იმ პირებისადმი, რომლებიც ცნობილი არიან დამნაშავეებად დანაშაულის ჩადენაში, ძირითადი სასჯელის გარდა დამატებითი სასჯელის სწორი გამოყენება ხელს შეუწყობს მსჯავრდადებულთა გამოსწორებისა და ხელახლა აღზრდის მიზნის უფრო წარმატებით მიღწევას, როგორც მსჯავრდადებულების, ისე სხვა პირების მიერ ახალ დანაშაულობათა ჩადენის თავიდან აცილებას.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა განიხილა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და სსრ კავშირის გენერალური პროკურორის პროტესტები სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების გამო მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებებზე.

პლენუმმა მუშაობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის გენერალური პროკურორი რ. ა. რუდენკო და სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრი ვ. ი. ტერებილოვი.

ვ. ყიფიანი

საქართველოს პროფკავშირებმა დიდი დანაკლისი განიცადა — მოულოდნელად გარდაიცვალა რესპუბლიკის თვალსაჩინო ხელმძღვანელი პროფკავშირული მუშაკი, სსრ კავშირის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ვალერიან ვლადიმერის ძე ყიფიანი.

ვ. ვ. ყიფიანი დაიბადა 1919 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ ბოსტანაში, მუშის ოჯახში. 1937 წელს დაამთავრა თბილისის 25-ე საშუალო სკოლა. ამავე წელს შევიდა საქართველოს კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის მექანიკის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში. აქ ვ. ყიფიანი მუშაობდა 1948 წლამდე სხვადასხვა თანამდებობაზე.

1948 წლიდან ვ. ვ. ყიფიანის შრომითი მოღვაწეობა მთლიანად დაუკავშირდა პროფკავშირებს. მუშაობდა კომუნალური მეურნეობის პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ტექნიკურ ინსპექტორად, ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალური მეურნეობის საწარმოების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარედ.

1974 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ვ. ვ. ყიფიანი მუშაობდა სსრ კავშირის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარედ.

ვ. ვ. ყიფიანის შრომა და დამსახურება აღინიშნა სამამაცო ნიშნის ორდენით, მთავრობის მედლებით.

პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭო.

რედაქტორი
გ. გედინეიშვილი.

ჩვენი ცნობარი: განცხადება, რეკლამა, ინფორმაცია

ციფერ ეკრანზე

საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

8 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 17.00 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „სურვილების ავგომანი“, 18.30 — განცხადებები, 18.35 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.45 — „ამა-გდარი“ — პროფესორი სოლომონ ფუციშვილი, 19.25 — „მოამბე“ (ფ.), 20.00 — სპორტული პროგრამა: 1. ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. მოსკოვის „ლოკომოტივ“-ცსკა — მეორე ტაიმი, 2. ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. მოსკოვის „სპარტაკი“-მოსკოვის „დინამო — მეორე ტაიმი (მ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „სცენები მუსიკალური სპექტაკლებიდან“, 23.25 — ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 17.55 — მულტიპლიკაციური ფილმები, 18.25 — განცხადებები, 18.30 — ქართული დოკუმენტური ფილმი „კინო და წლები“ (ქართული საბჭოთა კინოს ისტორიის ფურცლები) პირველი სერია.

9 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — მხატვრული ფილმი „კაცკასიელი ტყვე ქალი“, 17.00 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქალაქი ჩემი სვეტლოგოლსკი“ (ფ.), 17.30 — მულტიპლიკაციური ფილმები, 17.55 — განცხადებები, 18.00 — მოსწავლეთათვის — „დიდება მზეს“ (ფ.), 18.55 — „პოეზია“ — ვახტანგ ჯავახაძე (ფ.), 19.15 — „მოამბე“ (ფ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის გელევიზიის პროგრამა, მიძღვნილი ბულგარელი ხალხის ეროვნული დღესასწაულისადმი (მ.). 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე დონეცკის „შახტიორი“-თბილისის „დინამო“, 8 სექტემბრის მატჩის მეორე ტაიმის ვიდეოჩანაწერი, 23.20 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით: 17.55 — კონცერტი, 18.25 — განცხადებები, 18.30 — ქართული დოკუმენტური ფილმი „კინო და წლები“ (ქართული საბჭოთა კინოს ისტორიის ფურცლები). მეორე სერია (ფ.).

10 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გზა მეცნიერებაში“ (ფ.), 17.00 — მულტიპლიკაციური ფილმები, 17.40 — განცხადებები, 17.45 — „ბუნება და ფანტაზია“, 18.20 — კინომარკეტი, 18.30 — „ბლურის საბჭოთა კავშირის სახალხო არგანიკი მედა ამირანაშვილი (მ.), 19.00 — დოკუმენტური ფილმი, 19.10 — ციკლიდან „კოზონისტები“. „შიამმოვლობა“ — ტელეფარკვეი. განმეორებები (ფ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ (ფ.), 20.30 — კინოჟურნალი, 20.40 — მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური სპექტაკლი „შთამომავლობა“. პირველი მოქმედება (ფ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური სპექტაკლი „შთამომავლობა“. მეორე მოქმედება (ფ.), 23.35 — ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 17.55 — „ქანდაკების შედევრები“ — ოგიუსტ როდენი, 18.25 — განცხადებები, 18.30 — ქართული დოკუმენტური ფილმი „კინო და წლები“ (ქართული საბჭოთა კინოს ისტორიის ფურცლები). მესამე სერია (ფ.).

11 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.00 — დოკუმენტური ფილმი „ედუარდ გისე“, 18.00 — განცხადებები, 18.05 — „მომძმე რესპუბლიკების საესტრადო ხელოვნება“, 18.35 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.50 — მოსწავლეთათვის — „ოპერაცია „ზრუნვა“ (ფ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ (ფ.), 20.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 20.40 — „შემომქმედებითი პორტრეტები“ — ო. იოსელიანი. გამეორებული (ფ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — საგელევიზიო სპექტაკლი „აგატა თხოვდება“ (საქართველოს გელევიზიის დადგმა, 23.05 — სპორტული მიმოხილვა, 23.35 — ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 17.55 — მულტიპლიკაციური ფილმები, 18.35 — განცხადებები, 18.40 — მხატვრული ფილმი „მისტერ მაკ-კინლის გაქცევა“. პირველი სერია.

12 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 17.00 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მუსლიმა“, 17.45 — განცხადებები, 17.50 — „ქართული საბჭოთა თეატრი“, 18.25 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.45 — „ხუკა ოცდამეექვსე ყრილობის შესახვედრად“ — „პროპაგანდისტი“, 19.00 — დოკუმენტური ფილმი, 19.15 — კონცერტი. „ალვა დაგიფიქრეს ნაწარმოებები, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ (ფ.), 20.30 — „ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ტლანდაგორი“ (ფ.), 20.45 — მუსიკალური შესვენება, 20.50 — დოკუმენტური ფილმი „ეს თავისუფალი სამყარო“ (მ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „ეს ესტრადა“ (ფ.), 23.35 — ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 17.55 — კონცერტი, 18.25 — მხატვრული ფილმი „მისტერ მაკ-კინლის გაქცევა“... მეორე სერია.

13 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — დოკუმენტური ფილმი — „სურგი ეხენინი“, 10.40 — კონცერტი, 11.10 — „ჩვენი სოფელი“ — საგელევიზიო პროგრამა, 12.00 — „მომძმე რესპუბლიკების ხალხთა ხელოვნება“, 13.00 — „ბუთწლედი — წელი დამამთავრებელი“, 13.50 — „საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი. 14.10 — „ვერანა“ (ფ.), 14.50 — მუსიკალური ფილმი, 15.30 — „ჯანმრთელობა“ — საგელევიზიო პროგრამა (ფ.), 16.00 — „ბოსტნეულისათვის“ — „ფილმები მოყვანის“ (ფ.), 16.20 — „გადაცემა სახალხოთა ანსამბლთა ფოლკლორისათვის, 17.05 — ქართული მხატვრული ფილმი „კოლხური ბალადა“, 18.30 — „ვაშა ამ ახალ საქართველოს, ვაშა შენებას“ — ლენინების რაიონი (ფ.), 19.30 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე თბილისის „დინამო“-ბაკოს „ნეფთჩი“ — ტრანსლაცია თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონიდან (ფ.). შესვენების დროს — კინოჟურნალი, 21.15 — „მოამბე“ (ფ.), 21.50 — უფროსებისათვის — მულტიპლიკაციური ფილმი, 22.00 — „ვრემია“ (მ)., 22.35 — „ლექსო, ნუ დაიკარგები“ — პოეზიის საღამო ბოლნისში (ფ.), 23.00 — კონცერტი — ცეკვავს მიხეილ ლავროვსკი“ (ფ.).

მეორე პროგრამით: 18.20 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ამბავი პიონელ ალესანდრასა“ (ფ.), 19.35 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ხნიერი მასწავლებელი“.

14 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — „ცეროოდენას ეკრანი“, 10.00 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ადგომობილი, ვიოლინო და ძაღლი კლიაქსა“, 11.35 — „მუსიკა და ბავშვები“, 12.15 — „კინოოავიშა“, 12.45 — მულტიპლიკაციური ფილმები, 13.15 — „ოლიმპიელები შინ ბრუნდებიან“ (მ.), 13.30 — გადაცემა „ნეიტვეფრა ეტალონთან“ (ფ.), 14.00 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ობობა“ ამ საკანში“ (ფ.), 14.50 — „ქართული ბალხური სიმღერები (ფ.), 15.20 — „კინოს მოყვარულთათვის“, 16.50 — „ფლეს ტანკიტის ფლეა“ (მ.), 17.05 — „ვესტნიკი“ (ფ.), 17.35 — კინოჟურნალი, 17.50 — „კინომოგზაურობის კლუბი“ (მ.), 18.50 — ქართული დოკუმენტური ფილმი „სიმღერა სვანეთზე“ (ფ.). 19.00 — „საერთაშორისო პანორამა“ (მ.), 19.45 — „საუბარი ალესანდრასთან“ (ფ.), 20.20 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის „რწმენა“ (ფ.), 20.50 — მულტიპლიკაციური ფილმი, 21.00 — „მოამბე“ (ფ.), 21.30 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ლეგენის ქურდები“ (ფ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „მუსიკალური ზუგდიდი“ (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.35 — მუსიკალური ფილმი, 17.25 — მხატვრული ფილმი „ეამი მოსვენებისა“.

რა მოვისმინოთ

საქართველოს რადიოს ერთი კვირის პროგრამა



8 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.31 — „დილის კონცერტი“, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.), 08.22 — მილოდიიდან მილოდიამდე, 11.20 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა, 11.45 — „ჩვენი იმედი და მომავალი“. რადიონარკვევი „ვაჩეიშვილი ბ ი ს ოჯახი“, 12.10 — უკანასკნელი ცნობები, 12.15 — მელოდიის ვ. კიკაბიძე, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — ლადო ასათიანის ლექსები, 12.40 — „კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — „ქართული ეკრანის მილოდიები, 13.00 — „დრო. მოვლენები, ადამიანები“ (მ.), 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“. ნ. დუმბაძე. „ჟუკარაზა“. მოთხრობა. (გაგრძელება), 14.20 — ჯ. ვერდი. საგუნდო მუსიკა, 15.00 — „მეგობართა ხმები“. გადაცემა სოფიიდან. ბულგარელი ხალხის ეროვნული დღესასწაულის — თავისუფლების დღის გამო (მ.), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ა. მაჭავარიანი. საგიონელი პიესები, 17.35 — მოსწავლეთათვის. „კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 18.10 — „მელოდია, რიგმი, განწყობიერება“, „ლიტერატურული ხარისხის ნიშანს“. 19.15 — „ქართული ხალხური სიმღერები, 19.40 — „საერთაშორისო ცხოვრების აქტუალური პრობლემები“ (მ.), 20.30 — ა. ბელიაშვილი. „ბეზუღაურები“. რადიოდადგმა, 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — რადიოსადგური „სიჭაბუკე“, 22.00 — მუსიკალური რადიონარკვევი „ალექსანდრი ჩიჯავაძე“, 23.30 — ნაცნობი მელოდიები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

9 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.31 — „დილის კონცერტი“, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.), 08.37 — მელოდიიდან მელოდიამდე, 11.10 — მოსწავლეთათვის. „ვიწყებთ ვარჯიშს!“, 11.40 — „ნაზგამდის“. რადიოკომპოზიცია გ. ნაფეგზარიძის წიგნის მიხედვით, 12.10 — უკანასკნელი ცნობები, 12.15 — ქართული კაპელურ-ინსტრუმენტული პიესები, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — თეიმურაზ პირველის ლექსები, 12.30 — მელოის ვ. პრეესი, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 13.00 — „დრო, მოვლენები, ადამიანები“ (მ.), 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“. ნ. დუმბაძე. „ჟუკარაზა“. მოთხრობა. (გაგრძელება), 14.20 — „ბეზუღაურები“. რადიოდადგმა, 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — რადიოსადგური „სიჭაბუკე“, 22.00 — მუსიკალური რადიონარკვევი „ალექსანდრი ჩიჯავაძე“, 23.30 — ნაცნობი მელოდიები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

10 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.31 — „დილის კონცერტი“, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.), 08.37 — მელოდიიდან მელოდიამდე, 09.45 — ბ. კვერნაძე. საფორტეპიანო პიესები, 11.10 — მოსწავლეთათვის — „ვიწყებთ ვარჯიშს!“, 11.45 — „ანგარიშგება-არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში“. 12.10 — უკანასკნელი ცნობები, 12.15 — მელოის ანსამბლი „ივერია“, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“. ნაზიმ ჰიქმეთის ლექსები, 13.00 — „დრო, მოვლენები, ადამიანები“ (მ.), 13.30 — „გაზეთ „პრ